საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 23 ივნისი, 2015 წელი.

№114 (7759)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

გიგლა აგულაშვილი:
თუ ადამიანმა უგუნური საქციელი განაგრძო, ვერც ჰიდრომეტრი გვიშველის და ვერც რადარი

6

ზაალ ანჯაფარიძე:
კრიზისების მართვის დროს სიტყვაზე ნდობა არ შეიძლება

7

სტიქიამ საბიუჯეტო ცვლილებებიც დაამუხრუჭა, მაგრამ ეკონომიკურ ზრდას არ შეაჩერებს!

4

ესტაკადას, რომელიც ახალ გზას უერთდება, საფრთხე არ მოელის

9

გაითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალისტების რეკომენდაციებს?

5



გიორგი სოსანაშვილს ბრალი დაუმძიმდა

2

◎ ვაშა თქვენ, დიდგორის ომის ნაშიერნო!..

მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ იმ დღეს რამე გამიხარდებოდა...

1960 წელს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მდინარე „ვერეს“ ხეობაში ჯერ არაფერი იყო აშენებული, წყალდიდობამ ზოოპარკი დატბორა და როგორც მახსოვს, ცხოველებიც შეიწირა. ახლა კი, როცა ვერეს ხეობაში იგივე განმეორდა, ისევ დაიტბორა და წაილეკა ზოოპარკი, დაიღუპნენ ცხოვლები და, რაც ყველაზე სავალალოა, დაიღუპნენ ადამიანები. ამ ტრაგედიამ შეძრა საქართველო. საზოგადოებამ ტელევიზიით ნახა უმძიმესი კადრები, სიბნელეში, წვიმაში მოვარდნილმა ღვარცოფმა მთელს ხეობაში წალეკა საცხოვრებელი სახლები და მანქანები. ჩამოწოლილი სახლის ქვეშ, ყელამდე წყალში, სადაც წამებს ითვლიდა ადამიანთა სიცოცხლის ბედი, ვნახეთ, როგორი თავგანწირვით გამოჰყავდათ ხალხი მამაც, კეთილშობილ ვაჟკაცებს. დრო და დრო ეკრანზე გვიჩვენებდნენ ფლატეს, რომლის ზემოთ ვეებერთელა კორპუსს როგორ აცლიდა საძირკველს მიწას მოვარდნილი ღვარცოფი. უმძიმესი სანახავი იყო. ჯერ არ იყო დადგენილი და გარკვეული, თუ რა მოხდა და რატომ მოხდა, რამდენი ადამიანი შეიწირა ამ უბედურებამ. ცხოველები ხომ არ გაიბნენ ქალაქში, ღვარცოფი ხომ არ მატულობს... ყველაფერს აკეთებდნენ, ძალას არ ზოგავდნენ მაშველები. აქ იყო პოლიცია, იყვნენ ჟურნალისტები, აქ იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ასევე, ქალაქის მერიც. სახელმწიფოს ყველა უწყება ებრძოდა სტიქიას, რათა გადაერჩინათ ადამიანები... ნელ-ნელა თენდება და უფრო მძაფრად გამოჩნდა ღვარცოფის სიავე. ესაა, ალბათ, ჯოჯოხეთი. წყლის ხმაურის მიღმა შეკივლება და შეძახილი უმძიმესი მოსასმენი იყო. უეცრად საიდანღაც გამოჩდა უამრავი ჭაბუკი და გოგონა, ხელში ნიჩბებით. თანდათან ახალგაზრდათა ნაკადი მატულობს. თან ისიც გავიგეთ, რომ საშველად სხვადასხვა ქალაქებიდან მოდიან გოგო-ბიჭები...

მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ იმ დღეს რამე გამიხარდებოდა, ეს სიხარული არ არის, ეს რაღაც მეტი იყო. ამ მწუხარე და მძიმე დღეს, ჭაბუკთა და გოგონათა მოქმედებამ მე დამანახა საქართველოს მომავალი. მე დავინახე ჯანსაღი, სულით მაღალი ახალგაზრდობის სიყვარული თავის ქვეყნისა! ვაშა! თქვენ, დიდგორის გმირთა ნაშიერნო, — ჩემს გუნებაში ვყვიროდი ამას (შეიძლება მართლა ვყვიროდი) და სხვადასხვა არხებზე ვეძებდი უფრო მეტს... და უეცრად წავაწყდი მშვიდ გარემოში ნაცნობ სახეებს, დიდი „დამაჯერებლობით“ ბრალდებას რომ უყენებდნენ ხეობაში არსებულ გზას; უდროოა ბრალდებაზე საუბარი და თითის მიშვერა დატბორვის მიზეზზე. გაუმართლებელია, როცა ჯერ არავინ არაფერი იცის, რა მოხდა, რატომ მოხდა, რამდენი ადამიანია დაღუპული, ხალხი რამდენია უსახლკაროდ დარჩენილი. საოცრად დიდი ტკივილი სუფევს ხალხში იმის გამო, რომ ადამიანები დაიღუპნენ. არავის აქვს არც მორალური და არც იურიდიული უფლება,დაუფიქრებლად მიუთითებდეს ტრაგედიის მიზეზზე, ასეთ დროს ღვთიური სიმშვიდით უნდა შევხედოთ მოვლენებს, ამიტომ, მოდით დროს წინ ნუ გავუსწრებთ, რადგან ეს ყოველთვის წამგებიანია. სხვათა შორის, სანამ ეს ტრაგედია მოხდებოდა, ხშირი გადაუღებელი წვიმების გამო, ვერეს ხეობაში საგრძნობლად აიწია წყლის დონემ, მაგრამ ყველაფერი ნორმალურად დამთავრდა. ისიც საყურადღებოა, ამ საშინელ ღამეს ისეთ ადგილას, სადაც ამ გზას არაფერი ესაქმება, ვაკის სასაფლაოსა და სოსისების ქარხნის მდებარე ტერიტორიაზე, ღვარცოფმა უბედურება დაატრიალა. წარმოუდგენლად დიდი და მოჭარბებული იყო მოვარდნილი ღვარცოფი.

იხ. 2 გვ.

ორდინარული პასპორტებით უვიზო მიმოსვლა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი პირველი ოფიციალური ვიზიტით სამხრეთ ამერიკის სამ ქვეყანას: არგენტინას, ურუგვაისა და ჩილეს ეწვევა.

„როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა დავით კერესელიძემ განაცხადა, ვიზიტი 26 ივნისს დასრულდება.

„რეგიონალური ტურნეს ფარგლებში ყურადღება გამახვილდება ლათინური ამერიკის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობაზე. როგორც ცნობილია, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის რეგიონი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ჩვენი დიპლომატიური ძალისხმევა მიმართულია, როგორც რეგიონში საქართველოს ცნობადობის ამაღლებისკენ, ისე პოლიტიკური, სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისკენ“, – განაცხადა დავით კერესელიძემ.

ტურნეს ფარგლებში პირველი ვიზიტი შედგება არგენტინაში, კერძოდ, ბუენოს-აირესში. თამარ ბერუჩაშვილი შეხვდება არგენტინის ვიცე-პრეზიდენტს ამადო ბუდუს და საგარეო საქმეთა და კულტურის მინისტრ ექტორ ტიმერს.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერება შეთანხმებათა პაკეტს: „საქართველოს მთავრობასა და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას შორის ორდინარული პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლის შესახებ“. ასევე, არგენტინაში ხელი მოეწერება შეთანხმებას კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ და ეკონომიკის საბაჟო და საგადასახადო სფეროებში თანამშრომლობის შესახებ.

24 ივნისს, თამარ ბერუჩაშვილი ურუგვაის ეწვევა, სადაც შეხვდება ურუგვაის ვიცე-პრეზიდეტნ რაულ სენდიკს, ასევე ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრ ნინ ნოვოას. ამ ვიზიტის დროს ასევე გაფორმდება შეთანხმება ურუგვაისა და საქართველოს შორის ორდინარული პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოვლის შესახებ.

რაც შეეხება ჩილეს, ჩილეში ვიზიტის ფარგლებში თამარ ბერუჩაშვილი შეხვდება კოლეგას, ერალდო მუნიოს და შეხვედრა გაიმართება ჩილეს ეროვნულ კონგრესში. ასევე, ხელი მოეწერება ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას.

ახალი ფრანგული საჰაერო სისტემა ყველაზე თანამედროვეა

„სისტემა, რომელიც შევიძინეთ ფრანგული კომპანიისგან არის ყველაზე თანამედროვე, ახალი, ნატოს თავსებადი საჰაერო სისტემა. ხელშეკრულება მთლიანად საჰაერო თავდაცვითი სისტემის განვითარებას გულისხმობს. ეს არ არის იმ შეთანხმების ტიპი, რომელიც თავიდან იგეგმებოდა. პროცესი ჯერ არ დამთავრებულა. ხელი ამ დროისთვის პირველ კომპონენტს აქვს მოწერილი, ხოლო მეორეს ივნისის ბოლოს მოეწერება“, – განაცხადა ხიდაშელმა.

◎ ვაშა თქვენ, დიდგორის ომის ნაშიერნო!..

მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ იმ დღეს რამე გამისარდებოდა...

„ვერეს“ ხეობის ტრაგედია

(პირველი გვერდიდან)

ვეება ხეებსა და მანქანებს, მიწაში აზელილ მასას დიდი ძალით მოაქანებდა. ეს იყო წარღვნა, ეს იყო სტიქიური უბედურება. მსოფლიოში ცნობილი არქიტექტორია თბილისის სანაპიროზე მდგარი იუსტიციის სახლის ავტორი მაქსიმილიანო ფუქსასი, მაგრამ განა იფიქრებდა იმას, რომ ერთდღიანი ქარიშხალი მის შენობას სახურავს ააგლეჯდა?! რომელი ერთი ვთქვათ,ულევია მაგალითები მსოფლიოში. როცა ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია, როცა მწუხრია ჩამოწოლილი, ადამიანები ერთმანეთს ამხნევებენ, ერთმანეთს ძალას ჰმატებენ, ჭაბუკთა და გოგონათა გამოჩენა ზოგისთვის შეიძლება დამხმარე მუშახელი იყო, ჩემთვის კი, დარწმუნებული ვარ, საზოგადოების უმრავლესობისთვის, დიდი იმედისა და ნათელი მომავლის ხილვა იყო. სწორედ ამ მუხტით დაამთავრა საუბარი პრემიერმა ტელევიზიით გამოსვლის დროს: მან აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, ეს უბედურება ყველასათვის შოკისმომგვრელი იყო, თუმცა საზოგადოება მხნედ და მამაცურად დაუხვდა განსაცდელს, მაშველები გმირულად და თავგანწირვით ცდილობდნენ ადამიანების გადარჩენას და ყველა იქ მყოფი მოხალისე თუ ამ მოვლენათა ამსახველი ჟურნალისტი, თავდაუზოგავად იღვწოდა. ამ თავდადებას მთავრობა უთუოდ აღნიშნავს და დააფასებს. მან მადლობა გადაუხადა ყველას, რაც საზოგადოებაში ძალიან ღირსეულად გახმიანდა.

მე რასაც ვამბობ,ყოველივე იმ ფაქტებზეა დაყრდნობილი, რაც ტელევიზიით ვნახე და, ამდენად უტყუარი სინამდვილის ლოგიკას ექვემდებარება. პროექტის შესახებ არ ვისაუბრებ, ეს სპეციალისტებისა და ექსპერტების საქმეა, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, ეს გზა ნამდვილად სჭირდება ქალაქს, ამ აზრს წინათაც და ახლაც მოწინააღმდეგეები ჰყავდნენ და ჰყვანან. ეს არ არის საკვირველი; როცა ეიფელის კოშკს დგამდნენ, ფრანგების დიდი ნაწილი აპროტესტებდა, მაგრამ როცა დაიდგა, იგი პარიზის სიმბოლოდ იქცა.

საჭესთან მჯდომს ამ გზაზე (ვერეს ხეობაში) ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია, აუცილებლად იგრძნობდა, როგორ გჩუქნის გზა დროს, რაც თანამედროვე ცხოვრებაში ყველაზე ღირებულია.

მერაბ ბერძენიშვილი,
21.06.15.

გიორგი სოსანაშვილს ბრალი დაუმძიმდა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ იური ვაზაგაშვილის განზრახ მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ გიორგი სოსანაშვილს ბრალი დაუმძიმა.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ გიორგი სოსანაშვილის მიერ 2015 წლის 20 იანვარს, კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული პირდაპირ უკავშირდებოდა იური ვაზაგაშვილის აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას და მიმართული იყო მისი შეწყვეტისკენ.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, იური ვაზაგაშვილი იყო საზოგადოებრივი მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი. აღნიშნული საზოგადოების მიზანი იყო საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, საჯარო მოხელეთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების, ბოროტად გამოყენებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის ხელშეწყობა, დაზარალებულის უფლებების დაცვა და სამართლიანობის აღდგენა ყველა სფეროში. 2014 წლის ბოლოს და 2015 წლის დასაწყისში იური ვაზაგაშვილი გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტივობით და საჯარო გამოსვლებში სისტემატიურად მოითხოვდა მისი შვილის – ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიებასა და დამნაშავე პირების დასჯას. საჯარო გამოსვლებში ი. ვაზაგაშვილი აცხადებდა, რომ გეგმავდა საზოგადოებრივი მოძრაობის უფრო მეტად გააქტიურებას და საპროტესტო აქციების გამართვას, რაც გ. სოსანაშვილში იწვევდა განსაკუთრებულ გაღიზიანებას. იგი ნათლად ხედავდა, რომ

ი. ვაზაგაშვილის საზოგადოებრივი აქტიურობის შედეგად შესაძლოა დამდგარიყო მისთვის პატივსაცემი პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

გამოძიებით დადგინდა, რომ საქმე გვაქვს მსხვერპლის საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილ განზრახ მკვლელობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე გ. სოსანაშვილს ბრალდება დაუმძიმდა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით.

შეგახსენებთ, რომ გიორგი სოსანაშვილს თავდაპირველად ბრალი წარედგინა განზრახ მკვლელობისთვის ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის. 2015 წლის 17 აპრილს, გ. სოსანაშვილს დაუმძიმდა ბრალდება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის.

ამდენად, დღეის მდგომარეობით, გამოძიება გრძელდება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით და მსხვერპლის საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით) და 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება), რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 16-დან 20 წლამდე ვადით ან უვადოდ“, – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

ვაზისუბანში ხევი დაათვალიერეს

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი აბუსერიძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორ გიორგი დვალაშვილს შეხვდა და სპეციალისტთან ერთად, ვაზისუბანსა და მე-8 ლეგიონში არსებულ გეოლოგიურ მდგომარეობას გაეცნო.

დეპუტატმა გეოლოგთან ერთად ვაზისუბანში არსებული ხევი დაათვალიერა. როგორც გეომორფოლოგმა განაცხადა, აღნიშნულ ხევში ჩაედინება ვაზის წყალი, რომელიც სათავეს მახათას სამონასტრო კომპლექსიდან იღებს, გადის ვაზისუბნის ხევში და უძოს ქუჩის კოლექტორს უერთდება.

„ჩვენი მიზანია, ვიზრუნოთ მოსახლეობის უსაფრთხოებაზე და დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციის საფუძველზე შევისწავლოთ პრობლემები, შევაფასოთ მოსალოდნელი რისკები, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი ტრაგედია“, – განაცხადა ირაკლი აბუსერიძემ.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● – რავა ხარ ლომო-თქვა, ხმამაღლა რომ დავუძახო ხაბაზს, არ დააძინებენ?

● ნააზრევი ერთი სატელევიზიო სიუჟეტის ნახვის შემდეგ:

1. ჩვენი პრეზიდენტი, სახის ქვედა ნაკვთებით, თანდათან ჩერჩილს ემსგავსება;

2. მაკკეინის თარსი ფეხი არ ვნახო საქართველოში!

● თავისუფალი დემოკრატები „რუსთავი-2“-ში დასახლდნენ, ჩემს სახლს ესა სჯობიაო?

● მხეცების უფლებებზე გულდათუთქული მოქალაქეები ალბათ ძალიან განიცდიან ზოოპარკიდან გაქცეული ვეფხვის და აფთრის ფსიქოლოგიურ და ჯანმრთელობის მდგომარეობას, „იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა“.

მეც, როგორც ქართული ფოლკლორის მოტრფიალე,შევდივარ რა ვეფხვისა და ზოლიანი აფთრის დედების მდგომარეობაში, მოვუწოდებ აღნიშნულ მოქალაქეებს: ოჯახებთან ერთად თავისუფლად იმოძრაონ თბილისის სკვერების და ბაღების მიყრუებულ ადგილებში, სადაც შეიძლება ეს უმანკო არსებები იმალებოდნენ ბოროტი მონადირეებისაგან, რათა უზრუნველყონ ამ ცხოველების დროული კვება და არ დაუშვან მათი დაღუპვა ცილების და ვიტამინების დეფიციტისაგან და ამ თავგანწირვით, ერთგვარ ზვარაკად შეეწირონ საქართველოში ტროპიკული ფაუნის გადარჩენის საშვილიშვილო საქმეს!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

პატრიარქი „ყოველთა ქართველთა კონგრესის“ ჩატარების ინიციატივით გამოდის



„დღეს ჩვენ უნდა ვიფიქროთ უფრო მეტზე — უნდა ვიფიქროთ იმ ჩვენ თანამემამულეთა შესახებ, ვინც უცხოეთშია. რა ეშველება იმათ? უცხოეთში ადამიანი ძნელად უძლებს იმ განსაცდელს, რომელსაც ხედავს იქ. ჩვენი დიდი წინაპარი ამბობს — „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა, ჩვენმა ქართველებმა არ დაკარგონ ენა, სარწმუნოება, სამშობლოს სიყვარული... ქართველობა არ დაკარგონ? თუ ქართული სული დაიკარგა იმათში, ეს ადამიანები დაკარგულია. რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ იმისთვის, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები დავუკავშიროთ სამშობლოს? ჩვენ გვაქვს სურვილი, რომ სვეტიცხოვლობას, 14 ოქტომბერს, მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა კონგრესი საქართველოში და კიდევ ერთხელ გავახსენოთ ჩვენს სისხლსა და ხორცს, რომ მათი წინაპრები აქ არიან და არ უნდა დაკარგონ კავშირი სამშობლოსთან. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ არ დაივიწყონ ქართული ენა? ქართველი ადამიანი გვგონია ისეთი ძლიერი გენისა, რომ ის არ დაიკარგება, მაგრამ სჭირდება სამშობლოს დახმარება, ჩვენი შეხსენება“, — აღნიშნა პატრიარქმა.

მისივე თქმით, სიტყვა კათოლიკოსი ნიშნავს საყოველთაოს და შესაბამისად, ეს წოდება პატრიარქს ავალდებულებს, რომ იფიქროს და იზრუნოს უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის. ამასთან, ილია მეორის ცნობით, მარტო რუსეთში, სავარაუდოდ, მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს.

„ამიტომ მოგმართავთ თქვენ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევადგინოთ სია თქვენი ნათესავების, რომლებიც უცხოეთში არიან და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავაკავშიროთ ისინი სამშობლოსთან. ძალიან ბევრია წასული უცხოეთში, მარტო რუსეთში, ალბათ, მილიონზე მეტი. ჩვენ ასევე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ფერეიდნელ ქართველებს, რომლებიც შაჰ-აბასის დროს წაიყვანეს აქედან. ისინი ელოდებიან ჩვენს დახმარებას. ის ჩვენი სისხლი და ხორცია. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ თურქეთში, ევროპაში, ამერიკაში და მთელ მსოფლიოში მცხოვრებ ქართველებს. საქართველო ელოდება თქვენს ჩამოსვლას. როგორც მშობელი დედა, ისე მიგიღებთ თქვენ სამშობლოში. იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ ჩვენი ერის გაერთიანებას“, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივას „ყოველთა ქართველთა კონგრესის“ ჩატარებასთან დაკავშირებით მიესალმება.

ეს არის შესანიშნავი იდეა, რომლის განხორციელებაც საშუალებას მოგვცემს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქართველთა ყველანაირი რესურსის გაერთიანება და კონსოლიდაცია მოვახდინოთ.

გამოვთქვამ სრულ მზადყოფნას მაქსიმალურად შევუწყო ხელი კონგრესის ჩატარებას. დარწმუნებული ვარ, ასეთი კონსოლიდაცია ხელს შეუწყობს ქართველი ერის გაერთიანებას და ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას“, — ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

ილია მეორე — ეს იყო განსაცდელი, გამოცდა ქართველი ერის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოში მომხდარ სტიქიურ უბედურებას კიდევ ერთხელ ეხმიანება და ამბობს, რომ ეს იყო განსაცდელი, გამოცდა ქართველი ერის.

როგორც მისმა უწმინდესობამ საკვირაო ქადაგებისას აღნიშნა, ქართველმა ხალხმა ეს გამოცდა ღირსეულად ჩაატარა, ვინაიდან მთელი ერი გამოვიდა გაჭირვებულთა დასახმარებლად. „ადამიანი ვერ მისწვდება იმ მოვლენებს, რომელსაც ღმერთი კაცობრიობას მოუვლენს. აი ის მოვლენა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ამ დღეებში, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ღმერთი არის გამგებელი ყოვლისა სოფლისა, ღმერთი მოუვლენს განსაცდელსაც და სიხარულსაც. მე ადრეც მითქვამს ძველი აღმოსავლური გამოთქმა — „ჰოი სიხარულო, შენ ხარ საწყისი მწუხარებისა და ჰოი მწუხარებავ, შენ ხარ საწყისი სიხარულისა“. ასეთი ცვალებადობაა სიხარულსა და მწუხარებას შორის“, — ბრძანა პატრიარქმა და აღნიშნა, რომ ადამიანი, ისევე, როგორც კაცობრიობა, მზად უნდა იყოს სიხარულისთვისაც და მწუხარებისთვისაც.

„ჩვენ ვმადლობთ ყველაფრისთვის უფალს. ვმადლობთ მისი დიდი წყალობისთვის. ეს იყო განსაცდელი, ეს იყო გამოცდა ქართველი ადამიანის და მადლობა უფალს, რომ ეს გამოცდა ჩვენმა ხალხმა ღირსეულად ჩააბარა. მთელი ხალხი გამოვიდა გაჭირვებულთა დასახმარებლად. ეს იყო მართლაც სიხარულის და სიყვარულის გამოვლინება. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ღმერთი გვაძლევს ამ თანაგრძნობას, ამ მადლს, მთელი ახალგაზრდობა გამოვიდა გაჭირვებულთა დასახმარებლად და ჩვენ კიდევ ერთხელ ვიგრძენით, როგორი ძლიერია ჩვენი სამშობლო, როგორი მადლიანია ქართველი ადამიანი“, — აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

მისივე თქმით, ამ განსაცდელის დროს უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმაც გამოიჩინეს დიდი სიყვარული სამშობლოს მიმართ და ყველაფერი გააკეთეს, რათა პრობლემების დაძლევაში მიეღოთ მონაწილეობა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს საპატრიარქოს კრწანისის პარკში 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები და ბავშვები დალოცა. პატრიარქმა მათ სიტყვითაც მიმართა.

როგორც ილია მეორემ ბრძანა, საქართველოს გამოუვლია მძიმე დღეები. „ისტორია გვეუბნება ჩვენ, რომ მძიმე დღეები ყოფილა საქართველოში, თუნდაც ჯალალ ედ დინის შემოსევის დროს, როდესაც ააოხრეს თბილისი, ქართველი ხალხი არ გაუტეხია მტერსაც. მტერს უნდოდა ქართველი ადამიანის ხერხემალში გადატეხა, მაგრამ ეს ვერ შეძლო“, — აღნიშნა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ბუნებრივი მოვლენა, რომელიც მოხდა, შესაძლებელია, დაიძლიოს შრომით და ერთობით. „ამ დღეებმა გვაუწყეს ჩვენ, რომ ძალა მართლაც ერთობაში ყოფილა“, — განაცხადა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ის მადლობელია უფლის, რომ ქართველ ერს ერთად ყოფნის ძალა მისცა და უფალმა აკურთხა ჩვენი ერი. პატრიარქმა დალოცა კრწანისის პარკში მყოფი ადამიანები და სრულიად საქართველო. „არ შეგეშინდეთ, ჩვენთან არს ღმერთი!“, — ბრძანა პატრიარქმა.

სტიქიით დაზარალებულებს სასულიერო პირებმა ზეთი აცხეს და საჩუქრად ხატები და ჯვრები გადასცეს. დაზარალებულებს ასევე გადაეცათ სხვადასხვა სახის ტკბილეული.

შეხვედრა პატრიარქთან

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე საბჭოს აპარატის თანამშრომლებთან ერთად სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს შეხვდა.

შეხვედრაზე სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობაზე ისაუბრეს და პატრიარქმა ამ კრიზისულ სიტუაციაში საბჭოს მუშაობა დადებითად შეაფასა. პატრიარქმა საბჭოს აპარატის წევრები დალოცა.

◎ გამოძახილი

ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამს 2015 წლის 13 ივნისს თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს.

სამწუხაროდ, 13 ივნისს მომხდარ სტიქიურ უბედურებას ადამიანთა მსხვერპლი, ზოოპარკის განადგურება, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა და დიდი ეკონომიკური ზარალი მოჰყვა. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს მომხდარი უბედურების მიზეზები, და ამის შედეგად მსგავსი კატასტროფების პრევენცია, წინასწარი გაფრთხილების მექანიზმების შემუშავება და შედეგად ზარალის შემცირება უნდა აქციოს ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად. ამის საშუალებას კი იძლევა ქვეყანაში და მის გარეთ არსებული კვალიფიციური სამეცნიერო რესურსი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტრაგედიამ საზოგადოება უჩვეულოდ გააერთიანა. ასეთი ფართომასშტაბიანი და შედეგიანი სოლიდარობა ჩვენს სახელმწიფოს დიდი ხანია, არ უნახავს.

მიგვაჩნია, რომ განათლება, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საწინდარია.

◎ ახსოვხართ და გაფასებენ...

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საერთაშორისო კავშირი „მწერალთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანება“
მისამართი: 121069, მოსკოვი, პოვარსკაიას 52/55

საქართველო,
ქ.თბილისი, მაჩაბლის 13
გენო კალანდიას

პატივცემულო გენო!

მწერალთა კავშირების საერთაშორისო აღმასრულებელი კომიტეტი, მწერლები — თქვენი თანამოკალმენი, გულითადად გილოცავთ თქვენ, გამოჩენილ ქართველ პოეტს, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს ღირსშესანიშნავ იუბილეს — დაბადების 75 წლისთავს.

თქვენ, არა მხოლოდ, შესანიშნავი პოეტი, არამედ საქართველოს თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ჭეშმარიტი პატრიოტი ბრძანდებით!

თქვენ, როგორც პოეტსა და პიროვნებას — კარგად გიცნობენ, ახსოვხართ და გაფასებენ რუსეთში.

გისურვებთ ჯანმრთელობას, კავკასიურ დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს!

გულწრფელი პატივისცემით,

ივანე პერევერზინი, სტანისლავ კუნიაევი, ვლადიმერ ბოიარინოვი, ანდრეი დემენტიევი, ლევ კოტიუკოვი, ვლადიმერ სერედინი, იური კონოპლიანიკოვი, ნიკოლოზ და მარინა პერეიასლოვები, ნიკოლოზ დობრონრავოვი, ბეჟან ნამიჭეიშვილი, ვლადიმერ ფეოდოროვი, ნიკოლოზ სტაროდიმოვი, ვლადიმერ ალეინიკოვი, ლიუდმილა სალტიკოვა.

სამადლობელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ბატონებო,

კაცი სოფელით და სოფელი კაცითაო, — უთქვამს ბრძენ წინაპარს. სოფელი, რა თქმა უნდა, მსოფლიურობას გულისხმობს, საზოგადოებას, აზრს, სივრცეს, სივრცობრიობით განფენილობას.

დაბადებიდან ჩემი 75-ე წლისთავი მთელმა საქართველომ აღნიშნა, მომილოცა და მეც გულწრფელი მადლობა მივაგე ქართველ ერსა და სრულიად საქართველოს — რუსთაველის თეატრის, პირადად ჩემთვის ფრიად საპატიო სცენიდან.

და მაინც, კიდევ ერთხელ მოლოცვისათვის მინდა, მადლიერება გამოვხატო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის მიმართ, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო ჩემი იუბილის აღნიშვნას: პირადად, მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის ა/რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ე.გვაზავას, აფხაზეთის ა/რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, ბატონ დ. ჯაიანს.

მადლობას მოვახსენებ საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტსა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ თამაზ წივწივაძეს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლებს, აგრეთვე, სრულიად ქართველ საზოგადოებას — მწერლებს, ხელოვანებს, მეგობრებს, ახლობლებს, ნაცნობებს, უცნობებს, რომლებმაც გულთან მიიტანეს და გაიზიარეს საიუბილეო თარიღი. ეს იყო ჩემი მშობლიური აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს დღე, ზეიმი, იმედი, მომავალი. და, მე, კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ქართველ ერს და სრულიად საქართველოს დაფასებისა და აღიარებისათვის.

უფალი გფარავდეთ. გმადლობთ.

ღრმა პატივისცემით
გენო კალანდია

◎ შეიკვეცება თუ არა?

სტიქიამ საბიუჯეტო ცვლილებებიც დაამუხრუჭა

სტიქიამ გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზეც მოახდინა. შესაკვეცად გამზადებული მთავარი ფინანსური დოკუმენტის კორექტირება შეჩერდა. შესაბამისად, პარლამენტში მისი წარდგენაც გადაიდო.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის ინფორმაციით, შესწორებულ ბიუჯეტში განისაზღვრება სტიქიით მიყენებული ზარალის ხარჯებიც. ამ ეტაპზე მოხერხდა 17 მილიონი ლარის მობილიზება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის. აქედან 10 მილიონი ლარი მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან გამოყო.

ხადურის პროგნოზით, სტიქიის შედეგების აღმოფხვრას, სავარაუდოდ, 100 მილონ ლარზე მეტი დასჭირდება. ათეულობით მილიონი მხოლოდ ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებისთვის დაიხარჯება. ამიტომ, ჯერჯერობით, უცნობია, როდის მოხერხდება ახალი ფინანსური დოკუმენტის წარდგენა.

ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით კონსულტაციები ყველა უწყებასთან ინდივიდუალურად გაგრძელდება. საბოლოო სურათის გამოკვეთის შემდეგ ცნობილი გახდება კანონის პროექტის პარლამენტში წარდგენის თარიღი.

საბიუჯეტო ვადების შესახებ არც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილეს პაატა კვიჟინაძეს აქვს ინფორმაცია. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, კორექტირებული ვარიანტი მთავრობას პარლამენტში ამ კვირაში უნდა შეეტანა, თუმცა, სტიქიის გამო პროცესები შეჩერდა.

მისივე ინფორმაციით, ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში სოციალური ხარჯების უცვლელად შენარჩუნება მოხერხდება, რადგან ბიუჯეტს ამისთვის რეზერვი ექნება.

„თანხები გამოიყო პრემიერის, პრეზიდენტის ფონდებიდან, აგრეთვვე არის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე აუთვისებელი თანხები. მე რომ მკითხოთ, არის რეზერვი და ამდენი კორექტირება არ უნდა ბიუჯეტს“, — აღნიშნა კვიჟინაძემ.

იგი ამტკიცებს, რომ შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტს პრობლემები არ შეექმნება, რადგანაც პირველი თვეების განმავლობაში ამ მხრივ პრობლემები არ ყოფილა.

„შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტი შესრულდება, უბრალოდ, ბიუჯეტის დეფიციტს ვერ იჭერენ და ამის გამო უნდათ, რომ შეამცირონ ხარჯი. ევროპული სტანდარტით ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 3%-ზე მეტი არ უნდა იყოს. რადგან მშპ იკლებს და 5%-ის ნაცვლად ხდება 2%, ამისთვის საჭიროა კორექტირება. ხარჯების შემცირება ამით უფრო არის განპირობებული, ვიდრე იმით, რომ შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტი 200 მილიონი ლარით არ შესრულდება“, — აცხადებს კვიჟინაძე „კომერსანტთან“ საუბრისას.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ლეჟავა კი ამბობს, რომ 13 ივლისის სტიქია ამ წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების საკითხს არ შეაყოვნებს. სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების საჭიროება ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებამ განაპირობა — წელს მთავრობა წლის დასაწყისში დაგეგმილი 5%-ის ნაცვლად, 2%-იან ეკონომიკურ ზრდას ელოდება.

ამასობაში „საქსტატმა“ ამ წლის იანვარ-მარტის ეკონომიკური ზრდის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა, რომელთა მიხედვით, მშპ-ის რეალურმა ზრდამ პირველ კვარტალში, გასული წლის იანვარ-მარტთან შედარებით 3.2% შეადგინა. რამდენად მეორე კვარტლის თვეებში ეკონომიკური ზრდა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე იანვარ-მარტში, მთავრობამ ბიუჯეტის კორექტირების გადაწყვეტილება მიიღო.

2015 წლის მოქმედი ბიუჯეტის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსულობები 9,87 მლრდ ლარით, გადასახდელები 9,57 მლრდ ლარით არის განსაზღვრული. რამდენით შეიკვეცება ბიუჯეტი ეს ჯერ კიდევ ცნობილი არ არის.

დანიელ ბექაური

◎ მეტი ინვესტიცია გვინდა!

ეკონომიკურ ზრდას არ შეაჩერებს!

რა გავლენას მოახდენს თბილისის დამანგრეველი სტიქია ქვეყნის ეკონომიკაზე და მის განვითარებაზე? წელს საქართველოს მთავრობა არაერთი გამოწვევის წინაშე დადგა. ჯერ იყო რეგიონალური შოკი და ლარის გაუფასურება, შემდეგ ეკონომიკური ზრდის შენელება და ბიუჯეტის კორექტირება, ახლა კი უზარმაზარი სტიქია და უკვე 100 მილიონს გადაცილებული ზარალი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური თბილისში მომხდარი სტიქიის მიუხედავად, ეკონომიკური აქტივობის ზრდას მაინც ელოდება.

„თავისთავად ცხადია, რომ სტიქიური მოვლენები ბიზნესებს პრობლემებს უქმნის. იცით, რომ რამდენიმე ბიზნესი სერიოზულად დაზარალდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ეკონომიკური აქტივობის ზრდას მაინც ველოდები, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ისეთი ღონისძიებები, როგორიც იყო ევრობანკის ყოველწლიური შეხვედრა, ხელს უწყობს საქართველოს ცნობადობისა და ინვესტიციების შემოდინების გაზრდას. ჩვენ კიდევ რამდენიმე საინტერესო ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

ხადურის ინფორმაციით, მომხდარის გამო მთავრობამ შეაჩერა პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის წარდგენა, რათა მისი რეალობასთან მორგება მოხდეს. **„ჩვენ შევეცდებით, შექმნილი ვითარება გავითვალისწინოთ, ამიტომ შევაჩერეთ პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის წარდგენა“,** — აღნიშნა მინისტრმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც ადასტურებს, რომ დღესდღეობით საქართველოში შენარჩუნებულია ეკონომიკური ზრდა და გაუმჯობესებულია ბიზნესგარემო.

„მიუხედავად მნიშვნელოვანი საგარეო შოკებისა, დღეის მდგომარეობით საქართველოში შენარჩუნებულია ეკონომიკური ზრდა და გაუმჯობესებულია ბიზნესგარემო როგორც საკუთრების უფლების დაცვის, ისე საგადასახადო ტვირთის კიდევ უფრო შემსუბუქებისა და საგადასახადო კანონმდებლობის ოპტიმიზაციის მიმართულებით. საქართველო არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მარტივი საგადასახადო სისტემის და დაბალი გადასახადების საოცრად ღია ქვეყანა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩვენ გვაქვს სულ ექვსი ტიპის გადასახადი; საერთოდ არა გვაქვს სოციალური გადასახადი; ჩვენ გავაუქმეთ იმპორტის გადასახადი საქონლის თითქმის 80 პროცენტზე, დანარჩენზე კი გვაქვს 5 ან 12-პროცენტიანი განაკვეთი; გვაქვს ძალიან მარტივი საგადასახადო და საბაჟო პროცედურები და სხვა. ყოველივე ამის დასტურია ის საერთაშორისო რეიტინგები, რომლებშიც საქართველოს წამყვანი პოზიციები უკავია“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, მსოფლიო ბანკის შეფასებით ბიზნესის კეთების რეიტინგში მსოფლიოში მე-15 ადგილი, ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში მე-8 ადგილი უკავია. **„TRACE Matrix-ის ინდექსის მიხედვით, კორუფციის სიმცირის რეიტინგში საქართველო მე-11 ადგილზეა 197 ქვეყანას შორის. ჩვენ ვუსწრებთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ნორვეგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის Heritage Foundation-ის რეიტინგის მიხედვით მსოფლიოში 22-ე ადგილი უკავია. გონივრული, მინიმალური და მიზანდასახული რეგულაციების დაწესებით ქვეყანა ყალიბდება ჯანსაღი ბიზნესის კეთებისა და წარმოების ცენტრად, რაც სწორედ ხელისუფლების მიზანმიმართული და თავდაჯერებული პოლიტიკის შედეგია, და ვფიქრობთ, ქმნის პოზიტიურ საინვესტიციო მოლოდინს.**

2014 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა ნომინალური შიდა პროდუქტის 4.4 პროცენტი. საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება როგორც ენერგეტიკული და სატრანზიტო ჰაბი ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა მხოლოდ ტრანზიტისთვის არ უნდა იქნეს გამოყენებული. აქ შექმნილია სათანადო გარემო საერთაშორისო კომპანიების განთავსებისა და რეგიონალური საფინანსო ცენტრის ჩამოყალიბებისათვის“, — აცხადებს მთავრობის მეთაური.

მისი თქმით, საქართველო ელექტროენერგიის ექსპორტიორია და ამ სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად მიმზიდველი ქვეყანაა. **„ჩვენ მაღალი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გვაქვს, რომელიც განპირობებულია საქართველოს უნიკალური ბუნებრივი პირობებით. ამ სფეროში ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ პარტნიორობას ფართო და სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა საწარმოო სექტორში — 2014 წელს ინდუსტრიული წარმოების წილი მთლიან შიდა პროდუქტში იყო 17.1 პროცენტი. ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესისთვის ქვეყანაში შექმნილია კარგი შესაძლებლობა სოფლის მეურნეობის სფეროში ინვესტირებისათვის. ამას ემატება ისიც, რომ ევროპის ბაზარი ღიაა ქართული წარმოების პროდუქციისათვის“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე კი მიიჩნევს, რომ უცხოური ინვესტიციები სწორედ ახლაა აუცილებელი, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად. გარდა ამისა, ბიზნესკლიმატის გაუმჯობესება უმნიშვნელოვანესია.

„ჩვენი მთავარი გამოწვევა, დღეს, რა თქმა უნდა, არის ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობის დაძლევა და ლარის კურსთან დაკავშირებული ვითარება, რომელიც მძიმედ დააწვა მოსახლეობას. ამ მდგომარეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და გაუმჯობესებული ბიზნესკლიმატი. რეგიონალური ეკონომიკური ტიპის კონფერენციები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ კიდევ ერთხელ გვეძლევა საშუალება, ვისაუბროთ ჩვენს პოტენციალზე და იმ შესაძლებლობებზე, რომელიც საქართველოს ამ მიმართულებით აქვს“, — აღნიშნა გიორგი ქადაგიძემ.

ბექა დანელია

◎ ძველი გაზეთებიდან

ვერემ ადამიანები 1924 წლის 13 ივნისსაც იმსხვერპლა!

ადიდებულ მდინარე ვერეს 1924 წელსაც მოჰყვა მსხვერპლი. ამის შესახებ ambebi.ge-მ ინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის ლევან თაქთაქიშვილის დახმარებით, იმ დროინდელ პრესაზე დაყრდნობით მოიპოვა.

სტიქიის შესახებ გაზეთ „კომუნისტის“ 1924 წლის 14 ივნისის ნომერი იუწყება და აქვეყნებს სტატიას სახელწოდებით — „წყალდიდობის მსხვერპლნი“, რომელშიც გაზეთი იტყობინება, რომ მდინარე ვერეს ადიდებას ადამიანების სიცოცხლე შეეწირა.

„გლეხები მოჰყვნენ წვიმაში, მოულოდნელად ვერეს ღელედან მოვარდნილა ძლიერი ნიაღვარი და იქ დაბანაკებული გლეხები თავიანთი ხარ-ურმებით გაუტაცნია და შეუყრია მტკვარში“, — წერს „კომუნისტი“.

გამოცემის ცნობით, სტიქიის ეპიცენტრი პირველი სამილიციო უბანი, მდინარე ვერეს ღელესთან ბოზარჟიანცის თუთუნის ქარხნის (შემდეგდროინდელი აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა) მიმდებარე ტერიტორია იყო.

გთავაზობთ „კომუნისტში“ 1924 წლის 14 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიას:

„როგორც ჩვენი გაზეთის 13 ივნისის ნომერში იყო აღნიშნული, 11 ივნისს, საღამოს 7 საათზე თბილისში ამოვარდა კუდიანი ქარი, რომელმაც ნახევარი საათის განმავლობაში შეუძლებელი გახადა ქუჩაში გამოსვლა დაყენებული კორიანტელის გამო. ხოლო 12 ივნისს, საღამოს 8 საათზე დაიწყო ელვა და ქუხილი, რასაც მოჰყვა ჯერ ნელი და შემდეგ ძლიერი წვიმა, რომელიც გაგრძელდა 1 საათს.

წვიმამ აადიდა ღელეები, რასაც მოჰყვა შემდეგი უბედური შემთხვევა: 1-ელ სამილიციო უბანში, ვერის ღელესთან ბოზარჟიანცის თუთუნის ქარხნის მახლობლად, ჩვეულებრივად დაბინავებულან მახლობელ სოფლიდან ჩამოსული გლეხები ურმებით ღამის გასათევად. გლეხები მოჰყვნენ წვიმაში, მოულოდნელად აღნიშნული ღელედან მოვარდნილა ძლიერი ნიაღვარი და იქ დაბანაკებული გლეხები თავიანთი ხარ-ურმებით გაუტაცნია და შეუყრია მტკვარში.

დაღუპულთა რაოდენობა და ზარალი გამოურკვეველია. უბედურების ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდა მილიციის უფროსი და ცეცხლის მქრობელი რაზმი, — წერს გაზეთი „კომუნისტი“ 1924 წლის 14 ივნისს, სტატიაში „წყალდიდობის მსხვერპლნი“.



◎ კომპეტენტური აზრი

გაითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალისტების რეკომენდაციებს?

13 ივნისს მომხდარი სტიქიის გამომწვევ მიზეზებსა და შემდგომი რეკომენდაციების გაცემის მიზნით, 19 ივნისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კონფერენცია გაიმართა. ყველა ერთხმად თანხმდება იმაზე, რომ კატასტროფა ბუნებრივმა სტიქიურმა მოვლენებმა განაპირობა, რომელსაც წინა დღეებში მოსული უხვი ნალექი უძღვოდა. თუმცა, სპეციალისტების თქმით, შესაბამისი პრევენციული ღონისძიების შემთხვევაში, მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ამ მიზნით, გეოლოგებმა, ჰიდროლოგებმა, საინჟინრო გეოლოგებმა, გეოფიზიკოსებმა, ამ დარგის სპეციალისტებმა გეოლოგიურ პროექტზე მუშაობა დაიწყეს, რომელსაც მოკლე ხანში მთავრობას შესთავაზებენ.

როგორც bpn-თან საუბარში გეოლოგ-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნოდარ ფოფორაძემ აღნიშნა, აუცილებელია თბილისის მიდამოებში გეოლოგიური აგეგმვა ფართო მასშტაბებზე მოხდეს.

„პროექტს ვამზადებთ, რომელიც გეოლოგიური აგეგმვის უფრო მსხვილ მასშტაბებს, ჰიდროგეოლოგიურ შეფასებას გულისხმობს. სამთავრობო და სამეცნიერო ფონდებს შევთავაზებთ, თუ დააფინანსებენ, ამ საქმეში ჩავერთვებით, რადგან სახელმწიფო გეოლოგიური სტრუქტურები იმ სამუშაოებს, რაც დღეს ჩვენს წინაშეა, ვერ აუდიან. საქართველოში თითქმის ყველა მიმართულების, მაღალი დონის სპეციალისტები გვყავს, რომლებიც ქვეყანამ უნდა გამოიყენოს. ამდენად, ჩვენს ქვეყანას უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანა არ უნდა დასჭირდეს. ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ ვერეს ხეობაში მცირე ზომის დამბის მაგვარი კაშხალი აშენედება, რომელიც მსგავსი ბუნებრივი მოვლენის დროს ჩამოტანილ დიდი რაოდენობის ნაშალს შეაკავებს. სხვათა შორის, მსგავსი პროექტი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს იყო. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერების რეკომენდაციებიც არსებობდა“, — ამბობს ფოფორაძე.

„აუცილებელია თბილისის მიდამოებში გეოლოგიური აგეგმვა ფართოდ მოხდეს“

მისივე თქმით, გეოლოგიური თვალსაზრისით, თბილისი საკმაოდ კარგად შესწავლილი იყო. თუმცა, საჭიროა ახალი მონაცემების აღება და გარკვეული საკითხების ხელახლა დაზუსტება. პროექტში ეს საკითხებიც იქნება გათვალისწინებული.

„ბოლო მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო გეოლოგების საჭიროება. ამდენად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ამ დარგის და სპეციალისტების განვითარებას ხელი შეუწყოს. საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობის მინერალური რესურსი გვაქვს, რომელიც ხელახლა შესწავლას, ინვენტარიზაციას საჭიროებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გეოლოგია პრიორიტეტულ სპეციალობად გამოაცხადოს, ხოლო ამ ფაკულტეტზე სწავლება დააფინანსოს“, — დასძინა ფოფორაძემ.

გაითვალისწინებს თუ არა სახელმწიფო გეოლოგების რეკომენდაციებსა და მათ მიერ მომზადებულ პროექტს, ამის შესახებ ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

სალომე გოგოხია

◎ ადგილობრივი თვითმმართველობა

ბიუროკრატიულ ზღუდეთა დასამხობად

ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საჭიროა უფლებამოსილებათა დეფედერალიზაცია და რეალური ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისთვის გადაცემა, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში დიდი ხანია, მიმდინარეობს. ახლა კი, როგორც ჩანს, კანონმდებლები რიტორიკიდან საქმეზე გადავიდნენ.

კერძოდ კი, პარლამენტის ერთბაშად ორი — რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეების ირაკლი ტრიპოლსკისა და გია ჟორჟოლიანის თაოსნობით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ცვლილებები შევა. პარლამენტარების მიერ ინიციირებული პროექტის თანახმად, **თბილისის მუნიციპალიტეტს ქონების მართვისა და განკარგვის მხრივ ავტონომიურობა ეზრდება. კერძოდ კი დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცება აღარ მოუწევს.** ამის საფუძველი ისაა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესაბამისი მოთხოვნა ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე თბილისის საკრებულოზე აღარ გავრცელდება. ამრიგად, **დედაქალაქის მთავრობის ქონების პირდაპირი წესით, აუქციონის გარეშე განკარგვის უფლებამოსილება ექნება.**

„ეს შესაძლებელს გახდის იმ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას, რომლებითაც თბილისის მერიას გარკვეული პირებისთვის ქონების საკუთრებაში გადაცემა დაევალა. ასევე შესაძლებელი გახდება მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დროულად დაკმაყოფილება. აღსანიშნავია ისიც, რომ მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების სანაცვლოდ, ინვესტორი ხშირად ქონების პირდაპირ წესით საკუთრებაში გადაცემას ითხოვს. ზემოაღნიშნული პროცედურა გაამარტივებს დედაქალაქში ინვესტიციების მოზიდვას, გაზრდის მის შემოსავალს, შექმნის მოსახლეობის დასაქმების დამატებით შესაძლებლობას, ხოლო დედაქალაქი გამოიყენებს დაგროვილ შემოსავალს მოქალაქეთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად“, — აღნიშნულია პარლამენტში ინიციირებული კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ამის გარდა, პროექტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებისას, თბილისის თვითმმართველ ერთეულს, საპრივატიზაციო ქონების ფასის გადახდის მაგივრად, შესაძლებლობა ექნება მუნიციპალიტეტს სანაცვლოდ სხვა ქონება გადასცეს ანუ, ფაქტობრივად, გაცვალოს ისინი. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შეტანილი ეს ცვლილება, კანონპროექტის ავტორთა აზრით, **იმის შესაძლებლობას შექმნის, რომ, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, კერძო მესაკუთრეებისგან შესაბამისი უძრავი ქონება გამოისყიდოს ყოველგვარი ჩამორთმევის პროცედურის გარეშე.** არადა, სადღეისოდ მოქმედი ნორმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების მხოლოდ აუქციონის ფორმით პრივატიზებასა და მართვის უფლებით გადაცემას ითვალისწინებს. პარლამენტისთვის შეთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კი, დედაქალაქის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების პრივატიზება-მართვის უფლებით გადაცემა, პირდაპირი განკარგვის წესით მოხდება.



„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ დასამტკიცებელ ცვლილებებში ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის მთავრობა, ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში მთელი რიგი გადაწყვეტილების მიღებას საკრებულოს დამტკიცების გარეშე შეძლებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას ეხება. არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (როგორც შენობა-ნაგებობებით, ასევე მათ გარეშე), აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ წილებსა და აქციებზე აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს არა საკრებულო, არამედ თბილისის მთავრობა მიიღებს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კანონში ჩნდება რეგულაცია, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი იქნება საკუთარი ქონება უსასყიდლოდ არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ავტონომიურ რესპუბლიკასაც გადასცეს.

ყველაფერ ამასთან, ახალი კანონპროექტით უქმდება ის ნორმები, რომელთა მიხედვითაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, საყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გადეცმის შესახებ, აქამდე თბილისის მთავრობა მხოლოდ საკრებულოს თანხმობით იღებდა.

კიდევ ერთი ცვლილება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“, სავარაუდოდ, ის იქნება, რომ დედაქალაქის მთავრობის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის პირის ხელმძღვანელის დანიშვნა-მოხსნას საკრებულოს თანხმობა აღარ დასჭირდება.

ამის გარდა, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში სიახლე იქნება ისიც, რომ კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებას თბილისის მთავრობა დაამტკიცებს ისევე, როგორც დანიშნვას და გაათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს და გააკონტროლებს მათ საქმიანობას, მიიღებს გადაწყვეტილებებს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

„არსებული მდგომარეობის პირობებში, ხშირია შემთხვევები, როცა საკითხის გადაწყვეტა ჭიანურდება, რის მიზეზიც კანონმდებლობით დადგენილი მრავალსაფეხურიანი და ხანგრძლივი პროცესებია. კოდექსის მოქმედი რედაქციით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ზედმეტადაა შეზღუდული და აღმასრულებელი ფუნქციები გარკვეულწილად წარმომადგენლობით ორგანოს აქვს შეთავსებული, რაც ხშირად იმის მიზეზი ხდება, რომ აღმასრულებელი ორგანო ეფექტიანად ვერ ფუნქციონირებს, დროულ გადაწყვეტილებებს ვერ იღებს და გამოვლენილ პრობლემებზე დროულ რეაგირებას ვერ ახერხებს. არსებული რეგულაციების გამო ვერ ხერხდება მუნიციპალიტეტის ეფექტიანი მომსახურებით დაინტერესებული მოქალაქეების დროული დაკმაყოფილება, რაც, გარკვეულწილად, ბიუროკრატიული პროცედურებითაა განპირობებული“, — ნათქვამია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების თაობაზე კანონპროექტში დართულ განმარტებით ბარათში.

მოკლედ, დედაქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში საკმაოდ სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი, რომელთა მიზანი, როგორც ვხედავთ, მოქალაქეთათვის ბიუროკრატიული ზღუდეების შესაძლებლობის ფარგლებში შემცირებაა. თუ რამდენად გამართლდება მოლოდინი, რამდენად გააზრებულია ის კორუფციული საფრთხეები, რომლებიც მთელი რიგი პროცედურის შეცვლას და უფლებამოსილებათა გადანაწილებას მოყვება, ამას დრო გვიჩვენებს.

ოთარ ტურაბელიძე

თუ ადამიანმა უგუნური საქციელი განაგრძო, ვერც ჰიდრომეტრი გვიშველის და ვერც რადარი

მდინარე ვერეს აუზის ორ წერტილში ავტომატური გამზომი საშუალება დამონტაჟდა. თანამედროვე ტიპის ნალექმზომი მოწყობილობის საშუალებით ხეობის მთელ სიგრძეზე რეაგირება სწრაფად მოხდება. სისტემა მოსული ნალექის შესახებ ინფორმაციას სააგენტოს საკომუნიკაციო ცენტრს ონლაინ რეჟიმში გადასცემს. სადგურიდან მიღებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა, რომ შედარებით გაუმჯობესდეს შესაძლო წყალდიდობის პროგნოზი.

სეისმოლოგების განცხადებით, ვერეს ხეობაში სახიფათო ვითარება კვლავ ნარჩუნდება, ამინდის გაუარესების შემთხვევაში კი, მეწყერის ჩამოწოლის საფრთხე არსებობს. for.ge-სთან საუბრისას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი აცხადებს, რომ ამ ოდენობის ნალექის განმეორების ალბათობა ძალიან დაბალია.

— ბატონო გიგლა, სეისმოლოგები ამბობენ, რომ ვერეს ხეობაში სახიფათო ვითარება კვლავ ნარჩუნდება და, შესაბამისად, საუბრობენ საფრთხის არსებობაზე. რამდენად მაღალია რისკები?

— რა თქმა უნდა, რისკები არსებობს და თუნდაც მარტო ამ ხეობაში დაახლოებით 60-ზე მეტი მეწყრული უბანია იდენტიფიცირებული. იმ ადგილზე, სადაც მეწყერი ჩამოწვა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, საკამოდ დიდი მასა (ნახევარზე მეტი), ჯერ კიდევ ფერდობზეა. ეს არ ნიშნავს, რომ ის არ ჩამოიშლება. მისი მაპროვოცირებელი შეიძლება იყოს როგორც მცირე, ასევე დიდი ნალექი, ან თუნდაც უმნიშვნელო მიწისქვეშა ბიძგი. ზოგადად, ეს მდინარე, თავისი ბუნებით რთული მდინარეა, 190 კმ-ზე მეტი წყალშემკრები აუზის მოცულობა აქვს და დაახლოებით 40-ზე მეტი შენაკადი აქვს. აქედან 16 საკმაოდ დიდი რაოდენობის წყალს აგროვებს.

რაც შეეხება რისკებს, მთაგორიანი და დიდი რელიეფის მქონე ქვეყანა ვართ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არსებული რისკების მქონე ქვეყნების რუკის მიხედვით, არ ვართ ისეთი მაღალრისკიანი ქვეყანა, როგორიც არის იაპონია, მაგრამ სადღაც შუალედში მაინც ვართ. ჩვენი გარემო პირობები და რელიეფი ამ პროგნოზებს იძლევა.

— თუ ჭარბი ნალექი იქნება, რამდენად მოსალოდნელია საფრთხე?

— ვაპირებთ, რომ დავამონტაჟოთ წინასწარი შეტყობინების სისტემა, პრემიერმა ამაზე საგანგებო შტაბის სხდომაზე ისაუბრა.

— მდინარე ვერეს გარდა, დამატებით თუ იგეგმება სხვა წერტილებში ადრეული შეტყობინების სისტემის დამონტაჟება?

— ნაწილი დამონტაჟდა, მაგრამ არის კიდევ დასამონტაჟებელი. ასე არ ხდება, რომ ღილაკს თითი დააჭირო და შუქი აანთო. ამას დრო სჭირდება, მით უმეტეს, დრო სჭირდება დაპროექტებას და ასევე, დრო სჭირდება ე.წ. ხერხეულის კედლების დამონტაჟებას, რომლებმაც მყარი ნატანი უნდა შეაჩერონ. ეს არის კომპლექსური ღონისძიებები, მაგრამ უპირველესი და გადაუდებელი. ამ ეტაპზე იმის გათვალისწინებით, რომ ხეობაში მოძრაობა არ არის, იმიტომ, რომ გზა დაზიანებულია, ჩვენ ვიღებთ სიფრთხილის მაქსიმალურ ზომებს. ძლიერი წვიმის დროს, ადგილზე ვაკვირდებით, იწევს თუ არა წყლის დონე და ასეთ შემთხვევაში ვაჩერებთ მუშაობას. იმისათვის, რომ მოგვეცეს ამ მოწყობილობის ინსტალირებისა და კედლების აშენების საშუალება, პროცესს სპეციალისტების ჩართულობით ვაკონტროლებთ.

— ბატონო გიგლა, რამდენად მაღალია ამ ოდენობის ნალექის, რომელიც უკვე გამოიხატა, განმეორების ალბათობა?

— დავეყრდნობი სპეციალისტების მოსაზრებებს, რომ ნაკლებ სავარაუდოა ასეთი დიდი ზომის ნალექის მოსვლა. ჯამში, რომ შევაფასოთ, შემიძლია ვთქვა, რომ უახლოეს მომავალში რაიმე კატასტროფული საფრთხე მოსალოდნელი არ არის. მეთოდურად უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ მომავალშიც ჩვენ ვრეაგირებდეთ არა შედეგებზე, არამედ, პროფილაქტიკური ღონისძიებებით შევამციროთ საფრთხეები.

— თბილისში ბევრი სხვა მდინარეცაა, პრაქტიკულად, ყველა მათგანი ღვარცოფიანია. იმის მიუხედავად, რომ დღეს პრობლემა შეიქმნა ვერეს ხეობაში, მოგეხსენებათ, პრობლემა იყო გლდანულაზე და დიღმულაზეც, რომლებიც თავიანთი ბუნებით მთის მდინარეებია. თუ იგეგმება თბილისში არსებული მდინარეების ბუნების შესწავლა?

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ამის შესწავლა, მაგრამ არა მარტო თბილისში. თბილისის ირგვლივ დაახლოებით 100-მდე ასეთი ობიექტის იდენტიფიცირება შეიძლება. ბუნებრივია, საჭიროა მათი შესწავლა და ანალოგიური ღონისძიებების განხორციელება. მაგალითად, ვერეს ხეობაში მეწყრულ საშიში ზონები გვაქვს, სხვაგან შეიძლება მეწყერსაშიში ზონა არ იყოს, მაგრამ ღვარცოფული წარმონაქმნის ალბათობა იყოს მაღალი. ანუ, თითოეულ გამოწვევას ჯერ უნდა შესწავლა, შემდეგ პასუხის გაცემა და ადრეული შეტყობინების სისტემის ინსტალირება, ან სხვა შესაბამისი ზომების მიღება.

შესაბამისად, კვლევა არის მნიშვნელოვანი. მით უმეტეს, რომ თბილისის არეალის ადმინისტრაციული საზღვრები გაფართოვდა, თუმცა, კვლევები არ ჩატარებულა. ამიტომ, ახლა ვფიქრობთ, სპეციალისტის ჩართულობით შევისწავლოთ არა მხოლოდ თბილისის მდინარეები, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს ყველაფერი დაკავშირებული არის ხარჯებთან, ექსპედიციებთან. სამწუხაროდ, ასეთი საკითხები კაბინეტიდან ვერ წყდება. უნდა ჩავრთოთ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, მაგრამ ეს ისევ და ისევ, ფინანსებთან არის დაკავშირებული.

— რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროცესში დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა?

— რა თქმა უნდა, ჩვენი ბიუჯეტის გარდა, უნდა გამოვიყენოთ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა და დახმარება. წინასწარი გათვლებით ამ კრიზისიდან გამოწვეული ხარჯები 100 მილიონ ლარს გასცდება. მე რომ მკითხოთ, ჯამურად ყველაფერი ერთად შეიძლება გაორმაგდეს. 200 მილიონი, რომ დავხარჯოთ, ამ ტიპის რისკების მინიმალიზებას შევძლებთ ძალიან ბევრგან. მინიმუმ ყველგან შევძლებთ წინასწარი შეტყობინების სისტემის ინსტალაციას, გვექნება რადარი, ამავე დროს გვექნება ორნაირი რადარი, რითაც შევძლებთ იმას, რომ სინოპტიკოსებს ჰქონდეთ წინასწარი შეტყობინებისა და პროგნოზირების გაკეთების შესაძლებლობა.

მაგრამ, თუ ადამიანმა გააგრძელა გარემოზე ზემოქმედების პროცესში უგუნური საქციელი, ვერც ჰიდრომეტრი გვიშველის და ვერც რადარი. ვერეს ხეობის პრობლემებმა დაგვანახვა, რომ შეიძლება ვიყოთ წარმატებული სახელმწიფო, თუ მოქალაქეები და ხელისუფლება არიან ერთმანეთის კარგი პარტნიორები. აი ამიტომაც, მომავალში მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტებზე არ უნდა გადავიდეს ყველა პრობლემის გადაჭრა. ეს პრობლემები მოითხოვს ჩვენს ფართო ჩართულობას, თანამონაწილეობას და პასუხისგებიან საქციელს. ქვეყანაში, სადაც ბრაკონიერობა და ხის უკანონო მოპოვება არ ითვლება გასაკიცხ ქმედებად, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ვერ შეძლებს ამ ტიპის გამოწვევებს და გარემოს დაცვით პრობლემებს გასცეს პასუხი. ვცდილობთ, ჩვენს საპასუხისმგებლო თემებში ძალიან ბევრი გულანთებული და წესიერი მოქალაქე ჩავრთოთ და გავხადოთ ისინი ჩვენი თანამონაწილეები, ეს ჩვენს პასუხისგებლობასაც ამაღლებს და მათ თვითშეგნებასაც. არ ვიცი, ვნახოთ, იმედი მაქვს, რომ კომპლექსური ღონისძიებების გატარებით შედეგი გვექნება.

თამთა ქარჩავა



© სტიქიის შემდეგ

მილიონ ნახევარი ლარი ზარალის ასანაზღაურებლად

სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“ 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ დაზღვეულებს ზარალის უმეტესობა უკვე აუნაზღაურა. 14 ივნისიდან დღემდე, „ალდაგში“ 100-მდე შეტყობინება შევიდა.

კომპანიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები ოპერატიულად გავიდნენ შემთხვევის ადგილებზე და სიტუაციაც გააანალიზეს. „ალდაგის“ წარმომადგენლები 24 საათის განმავლობაში მუშაობდნენ, რათა დროულად და შეუფერხებლად მომხდარიყო დაზღვეულთათვის ზარალის ანაზღაურება. ზარალის ჯამურმა რაოდენობამ მილიონ ნახევარი ლარი შეადგინა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, „ალდაგმა“ გაამარტივა ზარალის დარეგულირების პროცედურები, რაც დაზღვეულებს ეხმარებათ, დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, უმოკლეს დროში მიიღონ კუთვნილი ანაზღაურება.

ამ ეტაპზე, სრულად დათვლილი და შესწავლილია სტიქიის შედეგად დაზიანებულ ავტომობილებზე მიყენებული მატერიალური ზარალი. დაფიქსირებული 40 შემთხვევის შედეგად, ზარალის ჯამური რაოდენობა 500 ათას ლარამდეა. ავტო მფლობელთა ზარალის 98% კომპანიამ უკვე დაარეგულირა. რაც შეეხება, ქონებრივ ზარალს, „ალდაგმა“ ამ მიმართულებითაც, დაასრულა ზარალის გაანგარიშება და კომპანია უახლოეს დღეებში დაიწყებს ანაზღაურების გაცემას.

მიმდინარეობს დაზიანებული გაზსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოები

ბუნებრივი აირის მიწოდება, ფაქტობრივად, ყველა აბონენტს აღუდგა, რის გამოც კომპანია მუშაობის ჩვეულ რეჟიმს უბრუნდება. შესაბამისად, ცხელი ხაზი (ტელ: 240 40 04) ყოველდღე 09:00-დან 18:00 საათამდე იმუშავებს, ხოლო საავარიო-სადისპეტჩერო სამსახური (ტელ: 114) — კვლავ 24 საათის განმავლობაში.

გაწმენდითი სამუშაოები გრძელდება

ზოოპარკის გაწმენდითი სამუშაოები დღე და ღამე მიმდინარეობს, თუმცა როდის დასრულდება, ამაზე პასუხი არ მაქვს, — ამის შესახებ ზოოპარკის დირექტორმა ზურაბ გურიელიძემ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, ტერიტორია სრულად იწმინდება. ასევე დაწყებულია დაკარგული ვეფხვის ვოლიერის გაწმენდაც, თუმცა გარკვეულ დროს მოითხოვს, რადგანაც ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი ტალახია. მისივე ინფორმაციით, მკვდარი მსხვილი ცხოველების რაოდენობა 50-ს აღწევს. რაც შეეხება ზოოპარკის განახლების და აღდგენით სამუშაოებს, ზურაბ გურიელიძის ინფორმაციით, ამის შესახებ სხვადასხვა ქვეყნების ზოოპარკიდან არის შემოთავაზება. ასევე შემოთავაზება დახმარების კუთხით არის სხვადასხვა ფონდებიდანაც.

დაიწყო მატერიალური ზარალის აღწერა

თბილისის მერიის ინიციატივით, სტიქიის შედეგად დაზარალებული 110 ოჯახისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის დეტალური აღწერა დაიწყო. აღწერის პროცესში ჩართულები არიან თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტო, ვაკის რაიონის გამგეობა, ეკონომიკისა და დევნილთა სამინისტროები, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

ერთობლივად იქნა შემუშავებული დაზარალებული ოჯახების აღრიცხვის ფორმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახის შემადგენლობა, მათი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი და საჭიროებები.

სამინისტროს ინფორმაციით, ამ მონაცემთა ბაზის ანალიზი მისცემს საშუალებას მთავრობას, განსაზღვროს ზარალის ოდენობა, რომელიც მოსახლეობამ მიიღო და შესაბამისი გადაწყვეტილებაც ამ მონაცემებზე დაყრდნობით იქნება მიღებული.

ინტერპრესი

კრიზისების მართვის დროს სიტყვაზე ნდობა არ შეიძლება

13-14 ივნისს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაზე გვესაუბრება დამოუკიდებელი ექსპერტი ზაალ ანჯაფარიძე

— ბატონო ზაალ, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ბევრი რამ გააკეთა, ოპოზიციის აზრით კი, ხელისუფლებამ კრიზისულ ვითარებაში ხალხთან კომუნიკაცია ვერ შეძლო და კრიზისების მართვის შტაბმა ცუდად იმუშავა. თქვენ როგორ შეაფასებდით დატრიალებული ტრაგედიის პირობებში ხელისუფლების ქმედებას?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებს. თუ რამდენად კვალიფიციურად მოქმედებდა ხელისუფლება კრიზისის დღეებში, ეს დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმა უნდა შეაფასონ. დღეს ბევრი წინააღმდეგობრივი ინფორმაცია ვრცელდება, მათ შორის მიზანმიმართულადაც. თუმცა, ფაქტები ჯიუტი რამაა, 19 ადამიანის დაღუპვა ასეთი ლოკალური სტიქიური უბედურების დროს, ვფიქრობ, ძალიან დიდი მსხვერპლია. იმედია, ეს რიცხვი აღარ გაიზრდება.

— დარჩა შთაბეჭდილება, რომ არა მარტო პირველ დღეებში ხელისუფლება და კრიზისების მართვის საბჭო მართლაც ქაოტურად მოქმედებდნენ, ამის კარგი მაგალითია გმირთა მოედანთან არსებულ საწყობში ვეფხვის გამოჩენა, რასაც ერთი ადამიანი ემსხვერპლა. დაგვიანებით ჩაერთო სამაშველო სამუშაოებში ჯარი, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ მომხდარა სტიქიის ზონის სექტორებად დაყოფა, ცხოველთა ძებნის ოპერაციაში მონადირეები მხოლოდ მე-5 დღეს ჩართეს...

— დიახ, მსგავს სიტუაციებში ყოველთვის არსებობს უკმარობის განცდა, რომ რაღაც შეიძლებოდა უკეთესად გაკეთებულიყო. ამ ხელისუფლებას, კონკრეტულად კი კრიზისების მართვის საბჭოს, შეიძლება ითქვას, პირველად მოუხდა ასეთი მასშტაბის კრიზისთან გამკლავება და, ბუნებრივია, იქნებოდა და იყო კიდეც გარკვეული შეცდომებიც. ამ შეცდომებზე უკვე ბევრი ითქვა და დეტალური განხილვა კიდევ წინ გვაქვს. ამიტომ, ახლა არ ვაპირებ დეტალებში ჩაღრმავებას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის „ინფორმაციული კონფლიქტები," რომლებიც დაუშვებლად ხშირი იყო და ერთ-ერთი მათგანი ფატალური შედეგით დასრულდა. შემდგომში ასეთი რამ კრიზისების მართვის პროცესში მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს. სიტყვაზე ნდობა კრიზისების მართვის დროს არ შეიძლება. ასე რომ, კრიზისების მართვის საბჭოს, ასევე ამ საქმეში ჩართული ყველა სტრუქტურის მუშაობა კრიტიკულად უნდა შეფასდეს და ბევრი რამ გადაიხედოს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული შეცდომების მიუხედავად ხელისუფლებამ მეტ-ნაკლებად გაართვა თავი სიტუაციას, არ გაექცა პასუხისმგებლობას და პრობლემის მოგვარებაში შეძლებისდაგვარად ჩართო ყველა დაინტერესებული მხარე. თუმცა, აქაც თავი იჩინა ხელისუფლების ქრონიკულმა სისუსტემ — საზოგადოების ოპერატიული და სრულყოფილი ინფორმირებიის გარეშე დატოვებამ. ***ტრაგედიის პირველივე დღეებში საინფორმაციო სივრცე თითქმის მთლიანად ჰქონდათ დაპყრობილი წინა ხელისუფლებასთან აფილირებულ ცნობილ მედიასაშუალებებს, რომლებიც შესაბამისი აქცენტებით აწვდიდნენ საზოგადოებას ინფორმაციას. მომხდარიდან მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გავიგეთ, რომ ხელისუფლებამ საკმაოდ ბევრი გააკეთა პრობლემასთან გასამკლავებლად, რაც ნაწილობრივ აქარწყლებს მის მიმართ ადრე გამოთქმულ პრეტენზიებს.***

— სხვათა შორის, ამ დღეებში კიდევ ერთი უცნაურობა მოხდა, რომლის შეუმჩნევლობა უბრალოდ, შეუძლებელიც კი იყო. კერძოდ, ტრაგედიის მეორე დღესვე ითქვა, რომ საგანგებო შტაბს უხელმძღვანელებდა კრიზისების საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე. მას შემდეგ, რაც ლაგუნა-ვერესთან ვეფხვმა ადამიანი მოკლა, შტაბის სახელით განცხადებებს იგი კი არა, სხვა, საზოგადოებისათვის ნაკლებად ნაცნობი პირი აკეთებს. თქვენი აზრით, რატომ? რამდენად საფუძვლიანად გამოიყურება ვერსია, რომ ხელისუფლებას არ სურს, ვეფხვის მიერ ადამიანის მოკვლა ჯანელიძის შტაბის ცუდ მუშაობას დაბრალდეს, ვინაიდან იგი შსს-ს გაყოფის შემდეგ უშიშროების მინისტრობის კანდიდატია?

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავდაცვის მინისტრობიდან მოყოლებული შეცდომები და წარუმატებლობები მინდია ჯანელიძის განუყრელი თანამგზავრი გახდა. არადა, ის არ არის ამ სისტემაში, რომ იტყვიან, გარედან მოსული ადამიანი და მისი ბიოგრაფიით თუ ვიმსჯელებთ, გარკვეული გამოცდილება აქვს. ამიტომ მით უფრო საკვირველია მისგან მსგავსი შეცდომები. თუმცა, ვფიქრობ ასევე შეცდომა იქნებოდა, ჯოხი მხოლოდ ჯანელიძეზე გადაგვეტეხა. ამ პროცესში სხვა უწყებებიც იყვნენ ჩართულნი. კრიზისების მართვის საბჭოს ჰყავს აპარატი, რომელიც ვალდებულია, საბჭოს ხელმძღვანელი ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაციით უზრუნველყოს. როგორც ჩანს, ჯანელიძე არის პრემიერ-მინისტრის ფავორიტი და თუ ხელისუფლება შეეცდება, ამის გამო მას პასუხისმგებლობა აარიდოს, ვფიქრობ, შეცდომას დაუშვებს. რაც შეეხება მის კანდიდატურას უშიშროების მინისტრის თანამდებობაზე, ყოველივე მომხდარის ფონზე არ მგონია, მის დანიშვნას ამ უაღრესად მნიშვნელოვანი უწყების ხელმძღვანელად საზოგადოება პოზიტიურად შეხვდეს. ღარიბაშვილს მოუწევს ამის გათვალისწინება. ამავე დროს, მას ჰაერივით სჭირდება ამ სამინისტროს ხელმძღვანელად სანდო და ერთგული პიროვნება. ვნახოთ, რომელი ფაქტორი გადასწონის.

— უკვე ცნობილია, რომ ახალი გზის რეაბილიტაცია დაიწყება, ვერეს ხეობის გრძელვადიან პერსპექტივაზე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. პარალელურად მუშაობს ტრაგედიის მიზეზების დამდგენი კომისია, რომელიც სპეციალისტებისაგან დაკომპლექტდა. პრემიერმა არ გამორიცხა, რომ 2010 წელს ვერის ხეობაში განხორციელებული მშენებლობის შესწავლის მასალები პროკურატურაში იქნას გადაცემული. თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ 2010 წელს ვერეს ხეობაში განხორციელებულ მშენებლობასთან დაკავშირებით კონკრეტულ პირთა ბრალეულობა გამოიკვეთოს?

— არ გამოვრიცხავ, ასეთი რამ მოხდეს, თუკი გამოძიება დამაჯერებელი სამხილების საფუძველზე, ამას განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა, დაადგენს, რომ სამშენებლო სამუშაოების დაპროექტებისა და განხორციელების პროცესში იყო დანაშაულებრივი დაუდევრობის ან სულაც, კორუფციულ ფაქტები. უკვე ცნობილია, რომ ვერეს ხეობაში გზის გამყვანი სამუშაოს დაპროექტება და სამშენებლო პროცესი წინა ხელისუფლებისათვის ჩვეულ ფორსმაჟორულ რეჟიმში მიმდინარეობდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის გარეშე, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

— არასამთავრობო სექტორი გეგმავს, სერიოზული კონტროლი გაუწიოს არსებულ სიტუაციაში ხელისუფლების მხრიდან უწყებებს შორის კოორდინაციას, როგორც ქვეყნის მოქალაქეებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაზარალებულთათვის გადარიცხულ თანხებს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან შემოსულ სხვადასხვა სახის დახმარებებს. მესმის, რომ ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, კარგიცაა. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკურ ძალებს შორის არსებული დაპირისპირების ფონზე ამ თემაზეც არაერთი სიმართლესთან შეუსაბამო ინფორმაცია გავრცელდება..

— ძალიან კარგია, რომ არასამთავრობო სექტორმა ასეთი ინიციატივა გამოიჩინა. კარგი იქნება, თუ ამ პროცესში თავად დაზარალებული მოქალაქეების ნდობით აღჭურვილი პირებიც ჩაერთვებიან, ხოლო ხელისუფლება გამოყოფს პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც პერმანენტულად მიაწვდიან მათ ინფორმაციას მობილიზებული თანხების ხარჯვაზე და ეს ინფორმაცია სრულად განთავსდება ამ მიზნით შექმნილ ვებგვერდზე. ამით უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის საჯაროობა და ეს ხელისუფლების ინტერესებშია, რათა მოხსნას შესაძლო კითხვები თანხების შესაძლო არამიზნობრივ ხარჯვაზე. რა თქმა უნდა, შესაძლოა საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული თანამშრომლობის სხვა სქემების მოფიქრებაც.

— უკანასკნელ დღეებში საზოგადოების ნაწილი იმგვარ აზრებს გამოთქვამს, რომ დაუჯერებელი და გაუგებარიც კია, აშკარა იყო და ახლაც ასეა, რომ ჩვენი საზოგადოება იმაზე მეტად პოლიტიზებულია, ვიდრე ჩანდა. თქვენ რას დაუკავშირებდით წინა და ახალი ხელისუფლების მხარდამჭერების მხრიდან ერთმანეთის მიმართ ხშირ შემთხვევაში ზღვარგადასულ აგრესიას?

— მე ამას დავუკავშირებდი ჩვენს საზოგადოებაში პოლიტიკური, ცნობიერი და ღირებულებითი ნიშნით არსებულ საკმაოდ ღრმა გახლეჩილობას და პოლარიზაციას. სამწუხაროდ, არ მგონია რომ ამ პრობლემას თვალსაწიერ მომავალში მოევლოს.

— ასევე გაუგებარი იყო საზოგადოების ნაწილის რეაქცია ექსპრემიერ ივანიშვილის განცხადებაზე, რა თანხებასაც ვერ მოიძიებს ხელისუფლება და საზოგადოება, მე დავაფინანსებო. გასაგებია, რომ ყველას შეიძლება არ მოსწონდე და ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ეს განცხადება სხვაგვარადაც შეიძლება წაიკითხოს — ჩემი იმედი გქონდეთო! თქვა კაცმა და ახლა, როცა ამდენი გაუბედურებული მოქალაქე გვყავს, ყველაზე მდიდარი ქართველის მიმართ, რომელსაც ბევრი სიკეთე გაუკეთებია, ასეთი აგრესია ნამდვილად გაუგებარი და უადგილოა...

— გააჩნია, საზოგადოების რომელ ნაწილს გულისხმობთ. თუ ეს ის ხალხია, რომელთაც ბიძინა ივანიშვილი პათოლოგიურად სძულთ, იმის გამო, რომ ქვეყანაში ერთი პოლიტიკური პარტიის ბატონობას წერტილი დაუსვა და ამით ამ პარტიის მომხრეებიც დაზარალა, მათი ამგვარი რეაქციები ივანიშვილის ნებისმიერ თუნდაც ძალიან კეთილშობილ ინიციატივაზე, არც არის გასაკვირი. თუმცა, არსებობს საზოგადოების კიდევ ერთი ნაწილი, რომელიც ამ ინიციატივაში ქვეყნის არაფორმალური მმართველობის ნიშნებს ხედავს და მიიჩნევს, რომ ეს ქვეყანას არ არგებს. ამ კრიტიკულ სიტუაციაში ბიძინა ივანიშვილი იქცევა როგორც ერთგვარი კრიზისმენეჯერი, რომელსაც სურს, რომ ქვეყანა ამ კრიზისიდან ნაკლები დანაკარგებით გამოვიდეს.

— როცა 13-14 ივნისის უბედურებაზე ვსაუბრობთ, ბევრი თვალსაზრისით ნიშანდობლივია მომხდარზე საზოგადოების, განსაკუთრებით კი სტუდენტი-ახალგაზრდობისა და უბრალოდ ახალგაზრდების რეაქცია. ამ უბედურებაში ნათელი წერტილი მათი გულწრფელი და თავდაუზოგავი აქტიურობა, უბედურებაში აღმოჩენილი ქვეყნისა და ხალხისათვის გვერდში დგომისა და რეალური საქმის კეთების სურვილის დემონსტრირებაა. ჩემი აზრით, მომხდარზე ახალგაზრდების რეაქცია ნიშანია იმისა, რომ ჩვენში დაგროვილა ნაციონალური ენერგია. მეტიც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ყალიბდება სოლიდარობაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც არსაიდან არ ფინანსდება და სავსებით თვითკმარი, იდეური და ენერგიულია. რატომღაც მგონია, რომ ამ ამბების შემდეგ ჩვენ ყველანი ამ ახლგაზრდებიანად სხვა საქართველოში აღმოვჩდებით. მთავარია, ხელისუფლებამ გაიაზროს და გააცნობიეროს, რომ ქვეყანამ 80-იანი წლების შეცდომები არ უნდა გაიმეოროს და მოახერხოს ახალგაზრდების ამ პოზიტიური ენერგიის ქვეყნისთვის სასიკეთოდ გამოყენება. თქვენი აზრით, ხელისუფლებას აქვს იმის რესურსი, რომ ტრაგედიაზე ახალგაზრდების რეაქციას ადეკვატურად უპასუხოს?

— გეთანხმებით, მეც ისევე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოება, აღფრთოვანებული ვარ იმ უპრეცედენტო მოხალისეობრივი პოტენციალით, რომელმაც ასე ბევრისათვის მოულოდნელად იფეთქა ჩვენს ახალგაზრდებში, რაც, ვფიქრობ, კიდევ იქნება სერიოზული განსჯის საგანი.

სხვათა შორის, დასტურდება მოხალისეობის პრობლემაზე სოციოლოგიური კვლევების მიგნებები, რომ ჩვენს საზოგადოებაში ბუნებრივად არის ჩაბუდებული მოხალისეობის სერიოზული პოტენციალი და ყველაზე უკეთ ეს სწორედ ძნელბედობის ჟამს ვლინდება. თუ გადავავლებთ თვალს ჩვენი ერის ისტორიას, მოხალისეობის არაერთ საინტერესო ისტორიას აღმოვაჩენთ. კარგი იქნება თუ მომხდარი მოხალისეობის კულტურის შემდგომი განვითარების მძლავრი სტიმული გახდება.

რაც შეეხება ხელისუფლების რესურსს, ახალგაზრდების ასეთ რეაქციას ადეკვატურად უპასუხოს, რამდენადაც ვიცი, შარშან ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრომ ახალგაზრდობის ხელშეწყობის პოლიტიკა შეიმუშავა, რომელიც ქვეყანაში მოხალისეობის განვითარებასაც მოიცავს და გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა.

თუმცა, ისევ და ისევ საზოგადოება არასაკმარისად არის ამაზე ინფორმირებული.

კოგა ბენდელიანი.

ვის აზრს ითვალისწინებდნენ, რომ ამათი გაეთვალისწინებინათ!..

საქართველოს ტერიტორიის 1,5 მლნ ჰექტარზე მეტი მეწყერულ უბნებზე მოდის, ე.ი. მთელი ქვეყნის 70 პროცენტი მუდმივი საფრთხის ქვეშაა. მთელს კავკასიაში 5 ათასამდე ღვარცოფსაშიში კერა და მდინარეა აღრიცხული, მათგან 3 ათასზე მეტი საქართველოშია. მეწყერულ უბანთა რაოდენობა 53 ათასია. შედარებისათვის აზერბაიჯანში 8,5 ათასია, სომხეთში კი — მხოლოდ 3 ათასი. ჰიდრო სპეციალისტის მერაბ ქარჩაიძის გადმოცემით ამას ემატება ისიც, რომ მდინარეების დიდ ნაწილს ნაპირგასამაგრებელი სამუშაოები დიდი ხანია, არ ჩატარებიათ. რომელთაც ჩაუტარდათ, (წინა ხელისუფლების პერიოდში), ნაუცბათევი და უხარისხოა, რის გამოც ქვეყნის ყველა რეგიონი საფრთხეშია, გარემოს დამცველთა განმარტებით, პროცესების ფონური განვითარების პირობებში ქვეყნის ეკონომიკური ზარალი წელიწადში 200 მლნ ლარს აღწევს (საშუალოდ), მაგრამ მათი ექსტრემალური განვითარების დროს ცალკეულ შემთხვევებში ზარალი ასეულობით მილიონი ლარია. კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელის ინფორმაციით 1967-87 წ.წ. დასავლეთ საქართველოში წარმოიქმნა და განვითარდა 5 ათასამდე მეწყერული ზონა, რომელმაც მოიცვა 560 ათასი ჰა, სასარგებლო ფონდიდან ამოაგდო 30 ათასი ჰა სავარგული, დაზიანდა 10 ათასზე მეტი შენობა-ნაგებობა. 1975-76 წ.წ. საქართველოს შავიზღვისპირეთში 5,4 ათასი ჰა სავარგული და სასოფლო-სამეურნეო მიწა უვარგისი გახდა. 1989-90 წ.წ. მოვლენებმა ქვეყნის ბიუჯეტი ერთი მილიარდი ლარით აზარალა. 1991-92 წ.წ.კატასტროფების შედეგად ზარალი 10 მილიარდს მიუახლოვდა (ლარის კურსით დაანგარიშებით).

სპეციალისტთა დასკვნებით სტიქიის ახალი შემოტევა 2001 წლიდან დაიწყო. 2005-2006 წ.წ. კი ექსტრემალური ხასიათი მიიღო, სტიქია მთელ ქვეყანას მოედო სხვადასხვა ინტენსივობით, მაგალითად, შარშან რიკოთზე, ივნისში ერთი კვირის განმავლობაში 4-ჯერ ჩამოწვა მეწყერი, რასაც სახელმწიფოსათვის მილიონობით ლარის ზარალი მოჰყვა (ხარაგაულის რ-ნის სოფელ ხევთან 3 ათასი კვ.მ.მიწის ფართისა და კლდის მასივის ჩამოწოლა მოჰყვა).

„მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძე ამბობს, რომ ღვარცოფებისა და წყალდიდობების 3 გამომწვევი ფაქტორი არსებობს: „გლობალური დათბობა, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის არარსებობა და ტყის საფარის გაჩეხვა. მისი განმარტებით ქვეყანაში ტყეებს ტერიტორიის 40 პროცენტით უჭირავს, მათი 90 პროცენტი ფერდობებზეა. ამის გამო მას დაცვითი ეკოლოგიური ფუნქცია აქვს. ნარგავების განადგურებით წარმოიშობა წყალდიდობებისა და ღვარცოფების საშიშროება. ეს ყველაფერი მძაფრდება გლობალური დათბობის პირობებში. ტყის ჭრას, მწვანე საფარისადმი მიდგომას კანონმდებლობა არ არეგულირებს, აცხადებენ „მწვანეები“.

წვიმა ამაზე უარესიც გვინახავს, მაგრამ...

ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სამმართველოს უფროსი, სინოპტიკოსი სვეტლანა ნიორაძე თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაზე საუბრისას აცხადებს, რომ 13 ივნისს მართლაც ძალიან ძლიერი წვიმა მოვიდა: 3 სთ-ში — 49 მმ . თუმცა, ამბობს იგი, 4 ივნისსაც ანალოგიური სიძლიერისა იყო — ერთ საათში 48 მმ. უბრალოდ წვიმას სხვა პროცესებიც დაერთო. ყველაფერს კომპლექსში სავალალო შედეგი მოჰყვა. სინოპტიკოსის განმარტებით, ეს ჰიდროლოგიური და გეოლოგიური პროცესები იყო, რამეთუ თბილისი ამაზე ბევრად უფრო ძლიერი წვიმების მომსწრეა. 1972 წელს, ერთ დღე-ღამეში 130 მმ ნალექი მოვიდა. უახლეს წარსულში — 2011-ში, 3 სთ-ში 78 მმ, ხოლო 2012 წელს — 93 მმ. ასე რომ, მომხდარს მხოლოდ წვიმას ვერ დავაბრალებთ, ასკვნის პროგნოზების სამმართველოს უფროსი. იგი სინანულით საუბრობს ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების აუცილებლობაზეც — რადგარი რომ გვქონოდა, მისი მეშვეობით, დაახლოებით 2 სთ-ით ადრე დავინახავდით, რომ თბილისის თავზე ასეთი სიმძლავრის ღრუბელი ვითარდებოდა,მიაჩნია სვეტლანა ნიორაძეს (აპარატურა, რომელზეც სპეციალისტი საუბრობს, მილიონობით დოლარი ღირს, მაგრამ როგორც მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, აუცილებლად შესაძენია) — **ზ. ბ.**).

კავკასიის გარემოდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საქართველოს პროექტის კოორდინატორის რეზო გეთიაშვილის მოსაზრებით, ასეთ წვიმას ანომალიურ მეტეოროლოგიურ პირობებს უწოდებენ. იგი ამბობს, რომ ყველაფერი გაართულა დიდი მოცულობის მეწყერის ჩამოწოლამ, რომელმაც ვერეს ხეობა ჩაკეტა. მდინარე დაგუბდა. შედეგი არა წვიმის მიზეზია, არამედ ღვარცოფის, რომელიც მეწყერმა გამოიწვია. საერთაშორისო კოორდინატორის თქმით, ხეობაში მეწყერული პროცესი რომ მიდიოდა, ამ პროცესზე კონტროლი გარემოს დაცვის სააგენტოს უნდა განეხორციელებინა. ეს ორგანო ქვეყნის მასშტაბით პროგრამულ მონიტორინგს მართლაც ატარებს გარდა თბილისისა, რადგანაც წინა ხელისუფლების დროს უგულავამ ხელისუფლების სრული მონოპოლიზების სურვილით, თბილისის მერიას თავისუფლება მისცა ამ საკითხის დამოუკიდებლად გაკონტროლებისა. აქედან გამომდინარე, ექსპერტებს უჩნდებათ კითხვები მერიის მიმართ — რატომ ვერ ავირიდეთ ტრაგედია თავიდან, თუ ვიცოდით, რატომ ვერ ავირიდეთ, თუ არ ვიცოდით, ვის კომპეტენციაში იყო მისი ცოდნა. ეს არის სამსახურებრივი მოვალეობებისადმი გულგრილი დამოკიდებულება თუ სულ სხვა რაღაცა. ეს საქმე სამართალდამცავების შესასწავლია, ამბობენ ბუნების დამცველები და თვლიან, რომ გარემოზე კონტროლისათვის უნდა არსებობდეს როგორც ადამიანური, ისე ტექნიკური რესურსი შესაბამისი ბიუჯეტით.

ზაზა ბილიხოძე.

P. S. როდესაც მთელი მსოფლიო თანადგომას უცხადებს საქართველოს მოსახლეობას, მის ხელისუფლებას, პროგრესული ძალები ბჭობენ თუ დახმარების რა ფორმები უფრო ეფექტიანი იქნება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის, „ნაცები“ თავისას არ იშლიან და ცდილობენ, ყველაფერში ხინჯი ეძებონ. როდესაც ტრაგედიის მეორე დღეს გაკვრით ითქვა შემოვლითი გზის კონსტრუქციის გარკვეულ უხარისხობასა და პრობლემებზე, „ვარდოსნები“ აყვირდნენ „უნიათო მთავრობას თავისი უსუსურობის დაფარვისთვის რაღაცების ჩვენზე გადმობრალება სურსო“ და სხვა მისთანანი. ეკოლოგ ილია ხომერიკს მოჰყავს ცნობილი ურბანისტის ნიკო კახეთელიძის განცხადება, რომელიც მან შემოვლითი გზის პროექტთან დაკავშირებით გააკეთა 2012 წელს. იგი ამბობდა, რომ პროექტი სახიფათოა. იმჟამინდელმა ხელისუფლებამ პროექტი ექსპერტებს არ შეამოწმებინა და ისე დაიწყო შემოვლითი გზის მშენებლობა. გამოცდილი კაცი ხვდებოდა რომ გადაწყვეტილებებს ღებულობდა მხოლოდ ის (იგულისხმება სააკაშვილი), ეს ერთი კაცის სურვილი იყო. მაგრამ აუცილებლად მოხდებოდა ტრაგედია და შემდეგ შედეგებზე მსჯელობა გვიან იქნებოდა. გაფრთხილებთ, ეს პროექტი სახიფათოა, — ამტკიცებდა კახეთელიძე. მას არავინ უსმენდა, ან ვის აზრს ისმენდნენ ისინი, რომ ბ-ნ ნიკოსა და მისი თანამოაზრეებისა გაეთვალისწინებინათ. იქნებ ახლა მაინც გამოსწორდეს შეცდომა! — ასკვნის ჩვენთან მოსაუბრე.

ამ საკითხის აგორება რომ ვერ მოახერხეს, ქალაქში გასულ გარეულ მტაცებელ ცხოველებთან მიმართებაში აყიყინდნენ, ასინდნენ, აყმუვლდნენ „სააკაშვილის ნარჩენები“, აქაოდა ცხოველებს ხოცავენო. ეს მართალიც იყო, რადგანაც შესაბამისი სამსახურები ცხოველებს ზოგს აძინებდნენ, ნაწილს ხოცავდნენ. უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ იმ უპატრონოდ, მშივრად დარჩენილი მტაცებლების მიმართ, რომლებიც უკვე ადამიანებზე იწევდნენ. მანამ იყეფეს, ვიდრე ვეფხვმა კაცს ყელი არ გამოღადრა. მერე იყუჩეს.

ტრაგედიის შემდგომმა დღეებმა ერთად დგომის, სამშობლოსა და თანამოქალაქეთა სიყვარულის ბევრი მაგალითი გვიჩვენა, მაგრამ გვინდა, მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ზოოპარკის თანამშრომლის ალექსანდრე ჩიხლაძის მონაყოლზე. იგი თვალცრემლიანი იგონებს, თუ როგორ დაგლიჯა ვეფხვმა მათი თანამშრომელი ქ-ნი გულიკო ჭიტაძე რამდენიმე კვირის წინათ, მისთვის ხელის ამპუტაცია გახდა საჭირო. საავადმყოფოდან გამოწერეს თუ არა, სამსახურში მივიდა დოკუმენტაციისა და სხვა საქმეების მოსაგვარებლად, იმ საბედისწერო დღეს, 13 ივნისს, მას თან მეუღლეც ახლდა, ცოლ-ქმარი სახლში დაბრუნებას აპირებდნენ, მოულოდნელად გაავდრდა. გულიკო ჭიტაძე და მისი მეუღლე ზოოპარკის სხვა მორიგე თანამშრომლებთან ერთად ცდილობდნენ ცხოველების გადარჩენას, მაგრამ...

ეს ერთ-ერთი მაგალითია ტრაგედიისა და მის შემდგომ დღეებში საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოჩენილი თავდადების, თანადგომის, საქმის უანგარო ერთგულებისა.

ზ. ბ.

პროკურატურამ სტიქიის მიზეზებზე ძიება დაიწყო

პროკურატურამ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურიდან ვაკე-საბურთალოს ახალ გზასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია გამოითხოვა.

„საინტერესოა, რომ დოკუმენტაციაში პროექტის გეოლოგიური დასკვნა არ აღმოჩნდა. ის დოკუმენტების ნუსხაში ფიგურირებს, თუმცა კეთილმოწყობის სამსახურის არქივში არ არის. შესაძლოა, დასკვნა პროექტის შემსრულებელ კომპანიას ჰქონდეს ან საერთოდ არც არსებობდეს.

აღნიშნულ საკითხზე თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელის ნინო ღოღობერიძის განცხადებით, შესაბამის ტენდერში დამარცხებული პროექტები ვერეს ხეობაში ახალი გზის ხიდებით შესვლას ითვალისწინებდა.

„ოფიციალურად ეს პროექტი გატარდა, როგორც თამარაშვილის ქუჩისა და გმირთა მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი. თამარაშვილის ქუჩაზეც და გმირთა მოედანზეც ნამდვილად რეკონსტრუქცია ჩატარდა, მაგრამ მათი დამაკავშირებელი გზა არ არსებობდა და თავიდან აშენდა. მიუხედავად ამისა, მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა ტენდერი გზის რეკონსტრუქციაზე გამოაცხადა.

სამ პრეტენდენტს შორის ძალიან დიდი ფასთა სხვაობა იყო. ერთ კომპანიას პროექტის განხორციელების ღირებულებად მითითებული ჰქონდა დაახლოებით 165 მილიონი ლარი, მეორეს დაახლოებით 158 მილიონი, ხოლო მესამეს 85 მილიონი. ტენდერში გამარჯვებული კი, სამწუხაროდ, ფასით განისაზღვრა. 85-მილიონიანი პროექტი გზის აგებას 1,5 წელიწადში ითვალისწინებდა.

ტენდერში დამარცხებული პროექტები ვერეს ხეობაში ახალი გზის ხიდებით შესვლას ითვალისწინებდა. ანუ გზა ზედაპირიდან მაღლა იქნებოდა აწეული. ცხადია, ასეთი კონსტრუქციები უფრო ძვირი ღირს და რთული შესასრულებელია“, — აცხადებს ნინო ღოღობერიძე.

საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი კასპის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქი-ნოსტე-მთიულთუბნის საავტომობილო გზის 5.7-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ახორციელებს.

სარეაბილიტაციო მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაობს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ლითანიშვილი გაეცნო.

სარეაბილიტაციო მონაკვეთზე, ამჟამად მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის მოწყობის, რეციკლირების, რკინა–ბეტონის ღარებისა და მილის სათავისების მოწყობის სამუშაოები.

მათივე ინფორმაციით, პროექტით გათვალისწინებულია, გზის სავალ ნაწილზე საფუძვლის რეციკლირებასა და ასფალტ-ბეტონის ახალი საფარის, კიუვეტების, გაბიონების, საყრდენი კედლების, წყალგამტარი მილების, გვერდულების, საგზაო ნიშნების მოწყობასა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოების განხორციელება.

პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 3 046 700 ლარია. სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

აღნიშნული მონაკვეთი იწყება სოფელ ახალქალაქის ტერიტორიაზე და მთავრდება სოფელ მთიულთუბანში. ეს გზა წარმოადგენს სოფლების: ახალქალაქი, ახალციხე, ნოსტე, მთიულთუბანი კავშირს საქართველოს საავტომობილო საგზაო ქსელთან, გარდა ამისა გამოყენებულია სასოფლო- სამეურნეო დანიშნულებითაც.

სამუშაოებზე 70 ადამიანია დასაქმებული.

განცხადება

მიმდინარეობს თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიეების ხელახალი რეგისტრაცია. გთხოვთ, გაიაროთ რეგისტრაცია მისამართზე: ქ. თბილისი იუმაშევის 51. ტ. 2729904.

კოოპერატივის გამგეობა

◎ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

უსაფრთხოა თუ არა გმირთა მოედანზე გადაადგილება?

ესტაკადას, რომელიც ახალ გზას უერთდება, საფრთხე არ მოელის

მიუხედავად იმისა, რომ სტიქიიდან მეორე დღეს, გმირთა მოედანზე სატრანსპორტო მოძრაობა აღდგა, მიმდებარე ტერიტორია ჯერაც წყალშია. ამდენად მნიშვნელოვანია რამდენად უსაფრთხოა გმირთა მოედანზე გადაადგილება, მყარია თუ არა ესტაკადის ნაგებობა და გზის რომელიმე მონაკვეთის ჩანგრევის საშიშროება ხომ არ არსებობს?

როგორც bpn.ge-ს დედაქალაქის მერიაში განუცხადეს, სპეციალისტებმა გმირთა მოედნის ტერიტორია გარეგნულად დაათვალიერეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენაზე გადაწყვეტილება. თუმცა შესაბამისი დასკვნა, რომ ტერიტორიის გეოლოგიური პროცესების შესწავლა მოხდა, არ არსებობს.

შეგახსენებთ, რომ სტიქიის დღეს, გვიან ღამით, მელიქიშვილისა და ჭავჭავაძის გამზირებზე სავალი გზის მონაკვეთი ჩაინგრა. სპეციალისტების შეფასებით, ეს მოძველებულმა მიწისქვეშა საკანალიზაციო სისტემებმა და გრუნტის ჩამორეცხვამ გამოიწვია. bpn.g-სთან საუბარში გეოლოგი უჩა ზვიადაძე ამბობს, რომ გმირთა მოედანზე გადაადგილება უსაფრთხოა.

„ესტკადას, რომელიც ახალ გზას უერთდება, საფრთხე არ მოელის. ამაში დარწმუნებული ვარ. კონსტრუქციული თვალსაზრისით, ესტაკადა კაპიტალურად აგებული შენობაა. ამიტომ ჩამონგრევის საშიშროება არ არსებობს. რაც შეეხება გმირთა მოედნის ტერიტორიას, სტიქიის დროს მიწისქვეშ დაგროვილი წყალი სანამ არ აორთქლდება, იქ იქნება. სადრენაჟო სისტემა იქ არ არის, რომ წყლის დაწრეტა მოხდეს. ჩემი აზრით, მიწისქვეშ დაგროვილი წყალი ესტაკადის ბურჯებს რაიმე საფრთხეს ვერ შეუქმნის“, – აღნიშნა უჩა ზვიადაძემ.

რაც შეეხება ახალ გზას, სადაც გაწმენდითი სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, გეოლოგი ვარაუდობს, რომ იქ სატრანსპორტო მიმოსვლა უსაფრთხო იქნება, თუმცა მისი თქმით, ახალ გზაზე, რომელიც ვერეს მარცხენა სანაპიროზე გაჭრეს, კლდოვანია ქანებია და ამიტომ, იქაურობა მუდმივად ყურადღების ქვეშ უნდა იყოს.

„პერმანენტულად დასჭირდება გაწმენდა და ნარჩენების გატანა. არა მგონია, რომ კლდეზე არსებულმა დამჭერმა ბადეებმა დიდი ქვების დაჭერა უზრუნველყოს. თავიდანვე არასწორი გადაწყვეტილება იყო ვერეს ხეობაში ახალი გზის გაჭრა, ესტაკადა უნდა გადაეტარებინათ. თუმცა, ამაზე საუბარი ახლა დაგვიანებულია,“ – ამბობს ზვიადაძე.

როგორც სინათლის ქალაქის დირექტორმა ვასილ ხორავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ესტაკადებზე სატრანსპორტო მოძრაობის მიმოსვლის შესახებ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა გმირთა მოედნის ტერიტორიაზე წყლის დონის შემოწმება.

„სპეციალისტებმა გმირთა მოედნის ქვეშ არსებული წყლის დონე შეამოწმეს, რომელიც ნორმაშია. შესაბამისად, სატრანსპროტო მოძრაობის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება მივიღეთ. ესტაკადებზე მოძრაობა უსაფრთხოა,“ – დასძინა ჩვენთან საუბარში ვასილ ხორავამ.

როგორც bpn.ge-ს ვასილ ხორავამ განუცხადა, უახლოეს დღეებში ასევე აღდგება სატრანსპორტო მოძრაობა დანარჩენ ორ ესტაკადაზე, რომელიც აქამდე დახურული იყო.

◎ ქორვაჭრობა

როცა „კეფის მომფხანი“ კაციშვილი არაა...

როგორც ჩანს, კარტელური, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომხმარებლის მოტყუების მძარცველური გარიგებები, როცა ესა თუ ის პროდუქცია თავის საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით მაღალ ფასად იყიდება, რასაც რამდენიმე კომპანია ან პირთა ჯგუფი, წინასწარი დანაშაულებრივი, ჩვეულებრივ, ფარული მოლაპარაკების შედეგად გეგმავს, ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამდევი ხდება.

თუ ადრე ნავთოპროდუქტებზე, ელექტროენერგიაზე, ფქვილზე, შაქარზე, ბურღულეულზე თუ სხვა საქონელზე გვქონდა მეტ-ნაკლები სიხშირით ლაპარაკი, ახლა ჯერი... საზამთროზე მიდგა. მოგეხსენებათ, ჩვენში ეს ბაღჩეული ჯერჯერობით შემოსული არ არის, აგრარულ ბაზრებში, სუპერმარკეტებსა და გარემოვაჭრეებში გამოჩენილი საზამთრო კი თურქეთიდან შემოაქვთ. ბუნებრივია, რომ იმპორტირებული საქონელი, ადგილობრივზე ძვირია, მაგრამ იმ პირობებშიც კი, როცა ჩვენებური საზამთრო ჯერაც მოწეული არ არის, თურქი იმპორტიორები კილოგრამს 30-35 თეთრად ყიდიან (უფრო სწორად ყიდდნენ), ჩვენებური ქორვაჭრები კი, რომლებიც მათ მშიერი მგლების ხროვასავით შეესივნენ და საქონლისგან თითქმის მთლიანად გაუცალეს ხელი, ამ 30-35 თეთრად ნაყიდ საზამთროს კილოგრამს... 1-1,2 ლარად ყიდიან. თანაც თავად თურქებმაც მოუმატეს ფასს და კილოგრამს არა ერთი კვირის წინანდელ ფასად, 30-35 თეთრად, არამედ 80-90 თეთრად ყიდიან!

კითხვაზე, თუ რაშია საქმე, რატომ მოიმატა ასე რამდენიმე დღეში საზამთროს ფასმა, იმის მაგვირად რომ, პირიქით, გაიაფებულიყო, ასე გვიპასუხეს: თქვენი ხალხი მოვიდა, გვითხრეს, ფასს მოუმატეთ, თქვენთვისაც ხეირია, ჩვენთვისაც, თანაც ერთმანეთს ისევ კეთილად დავშორდეთ, ასე აჯობებსო...

რა არის ეს თუ არა ხალხის დაკანონებული ძარცვა, რომელიც ათასი დონის მაკონტროლებელი ორგანოს – საგადასახადოს, პოლიციის, პატრულის და ა. შ. – თანამშრომელთა თვალწინ ხდება, „კეფის მომფხანი“ კი კაციშვილი არ არის!

სიმართლე გითხრათ, როცა ამ მაკონტროლებელთა სატელევიზიო თუ რადიოგამოსვლებს ვუსმენთ, ანდა საგაზეთო პუბლიკაციებს ვკითხულობთ, მიამიტი, უცოდინარი ანდა დაბნეული გოგო-ბიჭების შთაბეჭდილებას არა თუ არ ტოვებენ, პირიქით, შესაშური გამჭრიახობით ლაპარაკობენ, ხშირად საკმაოდ ხისტადაც. ამ დროს კი, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ან რაიონის ხელმძღვანელობა სად იყურება, ანდა დედაქალაქის, ანდა იმ სამინისტროების, უფროსები სად არიან და რას აკეთებენ, ვისაც აღნიშნულ საკითხზე კონტროლის დამყარება და მისი თვალის გადევნება სამსახურებრივად ევალება?

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე განმეორებით აუქციონს მურმან მაკარიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მურმან მაკარიძე (პირადი №42001031114), მის: ფოთი, მზარელუას ქ. №38, ბინა 33;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, მზარელუას ქ. №38, ბინა 33 (საკადასტრო კოდი: 04.01.01.554.01.033).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 12205,32 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2015 წლის 22 ივნისი, 14:00 საათი;

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2015 წლის 8 ივლისი, 11:00 საათი;

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge;

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP23689315;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 236893

6. **მოვალე:** მურმან მაკარიძე (პირადი №42001031114), მის: ფოთი, მზარელუას ქ. №38, ბინა 33;

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

8. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP23689315; ლოტის ნომერი: 236893).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები 2015 წლის 7 ივლისის, 11:00 საათამდე წარადგინოს შპს „ემჯი ჰოლდინგში“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება

სს „ელმავალმშენებლის” აქციონერებს გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის “მეწარმეთა შესახებ” 54.1[1] პუნქტის და სს „ელმავალმშენებლის” წესდების 19.5 პუნქტის შესაბამსად, სს „ელმავალმშენებლის” აქციების 87%-ის მფლობელი აქციონერის შეზღუდული პასუხისმგებლობლობის კერძო კომპანიის LOKO TRANS HOLDINGS B.V.–ის დირექტორი კომპანიის AlliedCorporate Management B.V.–ის დირექტორმა რამონ ზუკეტომ განიხილა რიგი საკითხები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის” ტექნიკური დირექტორის - გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გ.ს. ბოიარსკიხის ანგარიში სს „ელმავალმშენებლის” მიერ 2014 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.
2. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის” სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

3. დათანხმდეს სს„ელმავალმშენებლის” სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ერთობლივ წინადადებას - არ განხორციელდეს სს „ელმავალმშენებლის” 2014 წლის წმინდა მოგების 3 787 794 ლარის (სამი მილიონ შვიდას ოთხმოცდაშვიდი ათას შვიდას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი) განაწილება.

4. სს „ელმავალმშენებლის” სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების თანახმად, სს „ელმავალმშენებლის” აუდიტორად 2015 წლისთვის არჩეულ იქნას შპს “ქართული აუდიტორული კომპანია” (საიდენტიფიკაციო კოდი № 205207319, დარეგისტრირებული თბილისის რეგიონალური ცენტრის საგადასახადო ინსპექციის მიერ 28.05.2007წ.).

სს „ელმავალმშენებლის” სამეთვალყურეო საბჭო

◎ ბაქო – 2015

მხატვრული ტანვარჯიში

„ბრინჯაო“ ლენტით

ქართველ **სპორტსმენთაგან პირველმა სალომე ფაჟავამ მოიპოვა ბაქოს თამაშების საგზური. აზერბაიჯანის დედაქალაქში გამგზავრებამდე ჩვენმა მხატვრულმა ტანმოვარჯიშემ რამდენიმე გრან პრიზე იასპარეზა წარმატებით, ამიტომ ევროპულ თამაშებზე სპეციალისტები მისგან მედალს ელოდნენ და სალომემაც იმედები გაამართლა – ლენტით ვარჯიშში ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა.** რომ არა მიკერძოებული მსაჯობა, ფაჟავას კიდევ თითო „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ უნდა მოეპოვებინა. ორიგინალური პროგრამით ქართველმა ტანმოვარჯიშემ პირველსავე დღეს დაიპყრო დარბაზი გურზებით ასპარეზობისას. მრავალჭიდში მან საბოლოოდ 71.900 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო ცალკეული საგნებით ფინალებში გამოსვლის უფლება და-

იბევა. პირველ-მეოთხე ადგილებზე გავიდნენ: იანა კუდრიავცევა (რუსეთი, 76.100), მარგარიტა მამუნი (რუსეთი, 75.650), მელიტინა სტანიუტა (ბელარუსი, 73.100), განა რიზატდინოვა (უკრაინა, 72.750).

ცალკეული საგნებით ფინალისტების გამოსვლა რგოლით დაიწყო. ფაჟავამ ურთულესი ილეთები უშეცდომოდ შეასრულა და გახარებულმა „დამჯერე“ რგოლსაც აკოცა ყველას თვალწინ, მაგრამ მსაჯებისგან მხოლოდ 18.150 ქულა დაიმსახურა, რაც მე-4 ადგილისთვის ეყო. მესამეადგილოსანმა ნეტა რივკინამ ჩვენებურს 0.1 ქულით გაუსწრო. უფრო ნაკლები იყო სხვაობა გურზებით ვარჯიშისას: სტანიუტამ 18.150 ქულა მიიღო, ფაჟავამ – 18.050 და ისევ – მეოთხე ადგილი. სალომე ასევე მეოთხე იყო ბურთით ასპარეზობისას (18.000). აი, ლენტით კი ვერცხლის მედალი უნდა აეღო, მაგრამ მასპინძელი მარინა დურუნდა, რომელიც ბოლო გავიდა სარბიელზე, მასზე წინ დააყენეს და ფაჟავა „ბრინჯაოს“ დააჯერეს. ცალკეული საგნებით სამი „ოქრო“ კუდრიავცევამ, ერთი კი მამუნმა დაისაკუთრა.

ჭრიკი

აბაშიძის იმედად

სპორტკომპლექს „კრისტალის“ რინგზე მეორე ორთაბრძოლა გამართა 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გელა აბაშიძემ, რომელსაც ძლიერი, მასზე ხუთი წლით უფროსი მეტოქე ჰყავდა – თურქი ონდერ სიპალი. მაყურებელიც ამ უკანასკნელს თავისიანად მიიჩნევდა და მხურვალედ ქომაგობდა. პირველ რაუნდში მსაჯებმა ერთსულოვნად ქართველს მიანიჭეს უპირატესობა. მე-2 რაუნდში სიპალს წარბი გაუსკდა, ექიმებმა სისხლდენა ვერ შეუჩერეს და ორთაბრძოლაც შეწყდა. აბაშიძე მეოთხედფინალში გავიდა, სადაც დღეს უკრაინელ იაროსლავ სამოფალოვს დაუპირისპირდება. იგი წარმატების შემთხვევაში „ბრინჯაოს“ გაინაღდებს.

ოთარ ერანოსიანმა (60 კგ), როგორც გაუწყეთ, პირველი საკვალიფიკაციო შეხვედრა წარმატებით ჩაატარა. აი, მომდევნო პაექრობა კი მასპინძელ სელიმოვთან დათმო. 52 კილოში სევერიან ჭილაძემაც სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ვლადიმერ ვეტკინს (რუსეთი) და შეჯიბრებას გამოეთიშა. სამწუხაროდ, მათი ბედი გაიზიარა ევროპის მესამე პრიზიორმა მიხეილ ბახტიძემ (+91) – აზერბაიჯანელ მახამადრასულ მაჯიდოვთან დამარცხდა. ასევე, მაყურებლებში გადაინაცვლეს ირაკლი მელიქიშვილმა (64) და ლევან გულედანმა (91), რომლებიც, შესაბამისად, კასტრიოტ სოპასა (გერმანია) და სადამ მაგომედოვს (რუსეთი) ვერ გაუმკლავდნენ.

Baku 2015
1st EUROPEAN GAMES

* * *

ბატუტზე ხტომაში თენგიზ კოშკაძე მე-5 შედეგით შევიდა ფინალში და იქაც იმავე ადგილზე დარჩა, თამარ კაკალაშვილმა კი, როგორც გაუწყეთ, ფინალს ვერ უწია. სპორტულ ტანვარჯიშში პაატა ნოზაძესა და ნატო ძიძიგურსაც ხელი მოეცარათ.

მშვილდოსნობა

ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონს აჯობა

გასულ **უქმეებზე ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონზე პაექრობები განაახლეს მშვილდოსნებმა. იულია ლობჟანიძემ პლეი ოფის პირველ წრეში დანიელი კარინა დოსევინგე დაამარცხა, არადა, ორი სერიის შემდეგ 0:4-ს აგებდა.** მეორე წრეში იგი ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონს, ბაქოს თამაშების ორი ოქროს მედლის მფლობელს, მოლდოვიდან იტალიაში გათხოვილ ნატალია ვალეევას დაუპირისპირდა და დამაჯერებლად მოუგო – 6:2.

ხათუნა ნარიმანიძემაც ორ მეტოქეს სძლია – აზერბაიჯანელ იალაგულ რამაზანოვასა და ესპანელ ადრიანა მარტინს. სამწუხაროდ, ორივე ჩვენებური მერვედფინალში დამარცხდა – ნარიმანიძემ თურქ იასემინ ანაგოზისთან წააგო, ხოლო ლობჟანიძე ესპანელ ალისია მარტინს დანებდა. ქრისტინე ესებუა შეჯიბრებას პირველსავე წრეში თურქმა ბეგუნან უნსალმა ჩამოაშორა.

ლაშა დიდია

◎ კოლეგა

ახალ ძველ ამპლუაში

ევროტურნირების დებიუტანტ ცხინვალის „სპარტაკის“ მესვეურები წინასასეზონო დაპირებების შესრულებას შეუდგნენ და ჯემალ ჭიპაშვილის სახით, რომელიც ამიერიდან მასმედიასთან დევნილთა კლუბის ურთიერთობას დაარეგულირებს, მსუყე შევსებაც მიიღეს.

სპორტის მოყვარულები „ფილიმონოვიჩს“ ჯერ კიდევ დიდი ნოდარ ახალკაცისდროინდელი ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშეობიდან იცნობენ. შემდეგ იყო ხანგრძლივი და ნაყოფიერი ჟურნალისტური მოღვაწეობა პოპულარულ გამოცემებში, იძულებითი ტაიმ-აუტი კი ჯანმრთელობაშერყეულ „ჭიპას“ ბოლნისის „სიონის“ სელექციონერობისას გამოუწერეს, თანაც ორიგინალური ფორმით – განთავისუფლების ფურცლის პირადად გადაცემის ღირსადაც არ ჩათვალეს. რას იზამ, ეს ხომ საქართველოა, სადაც სარეცელს მიჯაჭვულიც კი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს.

საბედნიეროდ, შვილიშვილებით დახუნძლული „ჯეკა“ ისევ გაახსენდათ, თანაც როდის – დღეს მეგობრობის ბურჯს საყვარელ საქმეში დაბრუნებასთან ერთად დაბადების დღესაც მივულოცავთ.

მრავალჟამიერ, ძმაო!

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ ხელბურთი

ჭურნე მოგებით დაიწყეს

საქართველოს 17-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება. ამ შეჯიბრებას ივლისის მიწურულს თბილისი უმასპინძლებს. ჩვენი ბიჭები (სანდრო ხანდოლიშვილი (1998, „ქარიშხალა“), გიორგი ხარაიშვილი (1998, „იმედი“), ერეკლე არსენაშვილი (1998, „ქარიშხალა“), ნოდარ მაისურაძე (1998, „პეგასი“), ირაკლი კბილაშვილი (1998, „ქუთაისი“), გიგა ზარნაძე (1999, „პეგასი“), ზეზვა იობაშვილი (1998, „იმედი“), გიგი ფერაძე (1998, „ქარიშხალა“), ლუკა ბულბულაშვილი (1998, „ქარიშხალა“), გიორგი ტიელიძე (1998, „გორი“), გიორგი მერკვილაძე (1998, „ქუთაისი“), გიორგი ცხოვრებაძე (2001, „პეგასი“), ხაზეინ რუსტამოვი (1998, „იმედი“), ლევან მამულაშვილი (1998, „ქარიშხალა“), ზურაბ გოგავა (1998, „პეგასი“/„ვალდორფი“, გერმანია), მთავარი მწვრთნელი გარი თურქია, მწვრთნელი გიორგი ქობელაშვილი, ექიმი ანა ხუბულური) ამჟამად ესპანეთში იმყოფებიან ტურნეზე (დელეგაციის ხელმძღვანელია იმედო ფხაკაძე). კვირას საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ბარსელონელ თანატოლებს პირველი ტაიმი 15:14 მოუგო. შესვენების შემდეგაც უპირატესობა ჩვენების მხარეს იყო და მასპინძლები 28:26 დაამარცხეს. ამ გუნდების მეორე შეხვედრა დღეს გაიმართება. 24-28 ივნისს ქართველი ხელბურთელები ესპანეთშივე „გრანოლერსის თასზე“ იასპარეზებენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

პირველი მეგოქენი

გუშინ უეფას შტაბბინაში ევროტურნირების საკვალიფიკაციო რაუნდის კენჭისყრა მოეწყო, რომელმაც ქართული კლუბების მეტოქენი გამოავლინა.

ჩემპიონთა ლიგა

(14-15 და 21-22 ივლისი)

ბელგრადის „პარტიზანი“ – გორის „დილა“.

ევროპის ლიგა

(2 და 9 ივლისი)

თბილისის „დინამო“ – აზერბაიჯანის „გაბალა“,

ბათუმის „დინამო“ – კვიპროსის „ომონია“,

რუმინეთის „ბოტოშანი“ – ცხინვალის „სპარტაკი“.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

წყვილები ქართველებისაა

გასულ **უქმეებზე თელავში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). წყვილებში თავი გამოიჩინეს მასპინძლებმა - მარიამ ბოლქვაძემ და თინათინ ყავლაშვილმა: მათ ზედიზედ სძლიეს რეგინა ჰუსაკსა (ჰოლანდია) და მონიკა სტანიკოვას (სლოვაკეთი) – 6:3, 2:6, 10:1, მესამე ნომრად განთესილ ვერა ალეშჩევასა და ადელია ზაბიროვას (ორივე-რუსეთი) – 4:6, 7:6, 10:6. ნახევარფინალში იულია ჰელბეტი (მოლდოვა) და გაბრიელა ვან დე გრააფი (ჰოლანდია) ჩამოიშორეს გზიდან - 6:3, 7:6, გადამწყვეტ პაექრობაში კი მარიანა ნატალი (იტალია)-სეირა შიმიზუ (იაპონია) დაამარცხეს – 6:4, 7:5 და მთავარი პრიზი მოიპოვეს.**

ერთეულების მეორე წრეში ყავლაშვილმა წყვილებში პარტნიორ ბოლქვაძეს მოუგო – 6:1, 6:1, მეოთხედფინალში ანა შანიძეს აჯობა – 3:6, 6:3, 7:5, ნახევარფინალი კი ფრანგ ჯული რაზაფინდრანალთან დათმო – 0:6, 5:7.

დღეს თელავში ახალი 10.000-იანი ტურნირი დაიწყება. ძირითად ბადეში ხუთი ქართველი ითამაშებს. ასპარეზობის რეიტინგფავორიტია მარიამ ბოლქვაძე, რომელიც პოლინა ნოვიკოვას (რუსეთი) დაუპირისპირდება. დანარჩენები ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: თამარ კუტუბიძე-ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა), თამარ ჭალაგანიძე-კერსტინ პეკლი (ავსტრია), თამარ სუმბაძე-საბინა სლავიკოვიჩი (უნგრეთი), ანა ახალკაცი-პია ქუკი (სლოვენია).

გივი გაგუა

◎ რაგბი

თბილისის თასი ირლანდიელებს ერგოთ

საქართველო-მზარდი ირლანდია 12:45

საქართველო: **წიკლაური, გ. ხუციშვილი, გიგაური, მჭედლიძე, ფრუიძე (სვანიძე 59), ნინიძე, ბეგაძე (ვ. ხუციშვილი 63), ჟვანია (თეთრაშვილი 74), მაისურაძე (ბრეგვაძე 48), ფეიქრიშვილი (მირცხულავა 48), დათუნაშვილი (ო. გიორგაძე 9), მიქაუტაძე, ბიწაძე, ჩხაიძე, ლომიძე (შუბითიძე 32).**

მსაჯი: **მატიო რეინალი.**

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „თბილისის თასის“ გათამაშების ბოლო ტურში მზარდი ირლანდიის ნაკრებთან 12:45 წააგო. სტუმრებმა ამ გამარჯვებით მთავარი ჯილდო დაისაკუთრეს. ირლანდიელთა ამ მატჩის სანახავად ჩამოვიდა მათი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯო შმიდტი, რომელიც მზარდი ირლანდიის გუნდიდან რამდენიმე მოთამაშეს მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებლად უხმობს.

ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავეს იტალიელებმა, რომლებმაც ურუგვაი დაამარცხეს – 23:13.

საბოლოო მდგომარეობა: 1. მზ.ირლანდია (15), 2. მზ.იტალია (8), 3. საქართველო (4), 4. ურუგვაი (0 ქულა).

თამაზ პატარაია

◎ სიმღერით წავიდა...

გურამ ბზვანელის ვარსკვლავი

21 ივნისს ფილარმონიის დიდ დარბაზში კომპოზიტორ გურამ ბზვანელის ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღამო ჩაფიქრებული იყო მის სიცოცხლეში, სამწუხაროდ, ასე ვერ მოხერხდა.

ამ ლამაზ საღამოს მისი შვილი თამუნა ბზვანელი და ძველი „გეპეიელი“ გია ჭირაქაძე უძღვებოდნენ.

კონცერტზე ისმოდა პოპულარული ჰანგები, ეკრანზე ახალგაზრდა ნიკოლოზ რაჭველი და პირველი მზიურელები ვიხილეთ, ცნობილი „გეპეის“ კვარტეტი ლუდმილა გურჩენკოსთან ერთად. სწორედ ამ კვარტეტმა შექმნა ეპოქა ყოფილ საბჭოთა კავშირში („გაია“, „დიელო“, „ორერა“). დარბაზში ისმოდა გურამ ბზვანელის უკვდავი „ჩავაქრე სანთელი“ ნანი ბრეგვაძის შესრულებით. კონცერტს ამშვენებდა „გეპეის“ ორკესტრი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით და მისი უახლოესი მეგობრები თამაზ ცინცაძე და გურამ ბაკურაძე.

თამუნა ბზვანელი მოეფერა კონცერტის მონაწილეებსა და დარბაზში მსხდომ თაყვანისმცემლებს, დიდი მაესტროს ხსოვნას, რომელმაც ქართულ ესტრადაში თავისი ბრწყინვალებით ვარსკვლავი დაიმსახურა.

კონცერტის შემდგომ ფოირვერკების გარეშე გაიხსნა გურამ ბზვანელის ვარსკვლავი.

ფოირვერკის ტოლფასი იყო ის დიდი სიყვარული საზოგადოებისა, რომელმაც საოცარი ერთგულება გამოხატა გურამ ბზვანელის ხსოვნის მიმართ. საგულისხმოა, რომ კონცერტიდან შემოსული თანხა გადაერიცხება ქ. თბილისში სტიქიით დაზარალებულებს.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ბზვანელის ხსოვისადმი მიძღვნილი გაზეთიც მღერის!..

ცნობილი პუბლიცისტისა და რედაქტორ-გამომცემლის ანზორ ბაბუხადიას საზოგადოებრივ-საინფორმაციო გაზეთ „თანადგომის“ მორიგი ნომერი საქართველოს სახალხო არტისტის, ყველა თაობის უსაყვარლესი კომპოზიტორის გურამ ბზვანელის ხსოვნას ეძღვნება.

გაზეთს ამშვენებს გურამ ბზვანსკის (ასე ეძახდნენ სიყვარულით) უახლოესი მეგობრების — ჯანსულ ჩარკვიანის, რეზო ამაშუკელის ცრემლით სავსე გულწრფელი სტრიქონები, საქართველოს ეროვნული სიმღერების კვარტეტის წევრების — ოთარ ჩუბინიშვილის, ნოდარ ჟვანიას, კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის გამოსათხოვარი წერილი, თამაზ ცინცაძის, გურამ ბაკურაძის, მერაბ კოკოჩაშვილის, თამაზ შილაკაძის და ავთანდილ საყვარელიძის ეპიტაფიები.

გურამ ბზვანელის უჭკვიანესი მეუღლე, ექიმი, ფსიქოლოგი და მწერალი თამილა მაკარიძე „თანადგომის“ ამ გაზეთის ფურცლებიდანაც (იმისი წერილები „ლიტერატურულ საქართველოშიც“ დაიბეჭდა) მოუთხრობს მკითხველს ერის გულში სიმღერად დარჩენილი კაცის ცხოვრების შესახებ.

„თანადგომის“ ამ ნომრის რედაქტორია ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი ქუთაისსა და იმერეთში, ცნობილი ჟურნალისტი ალექსანდრე შენგელია.

... როცა „თანადგომის“ ამ ნომერს წაიკითხავთ კიდევ ერთხელ დარწმუნდები: გურამ ბზვანელი სანამ ცოცხალი იყო, სიცოცხლეს გვილამაზებდა, წავიდა და... სიკვდილს გვიადვილებს!

სპარტაკ ქობულაძე

შვილები ვლადიმერ, ლოლა (ბაკა) დარჯანიები, როლა შავლაყაძე, შვილიშვილები ოლიკო მიქელაშვილი, ანა დაშნიანი, მარიამ, ნიკოლოზ დარჯანიები, შვილთაშვილები ბაბი ჭანტურია, დავით კევლიშვილი, სიძეები დავით ჭანტურია, აკაკი კევლიშვილი, რძალი ანა არდიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



ბადრი (ომეხ) დარჯანია

პანაშვიდი 23, 24 VI. მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) 2, VIII სად. III სართული. გამოსვენება 25 VI, 14 სთ. ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს პანთეონი).

ავთანდილ საყვარელიძე, ალექსანდრე ჩხეიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართველი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ტრანსპორტის დარგის თვალსაჩინო მუშაკი, დამსახურებული ინჟინერი, სიკეთით სავსე უახლოესი მეგობარი

ბადრი დარჯანია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაციის (GIRCA) თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საავტომობილო ტრანსპორტის ღვაწლმოსილი ინჟინერი

ბადრი დარჯანია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ცისანა ჩიხლაძე, შვილები ვასიკო, ლევან კიკნაძეები, რძლები თაკო ბერიძე, ნინო ჩომახაშვილი, შვილიშვილები ცისია, ნატალია, ოთო, მარიამი, ლიკა, ძმები ომარ, თემურ, ნუგზარ კიკნაძეები, რძლები ლია, ქეთინო, ქეთევანი, მძახლები ვაჟა, მარინა ბერიძეები, ჯემალ, ნუნუ ჩომახაშვილები, ძმისწულები დეკო, ნანუკა, სოფო, ეკა, ვოვა კიკნაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ კიკნაძე

პანაშვიდი 23, 24 VI, 17 სთ. გამოსვენება 25 VI, 15 სთ. მისამართი: ოქროყანა (მთაწმინდის პარკთან).

მანანა, პაატა შევარდნაძეები ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ქალბატონ ცისანა ჩიხლაძეს მეუღლის

ოთარ კიკნაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ეკა ებრალიძე ოჯახით იუწყება ბიძის

ოთარ კიკნაძის

გარდაცვალებას.

ნათელა, შოთა გამყრელიძეები შვილებით, შვილიშვილებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის უახლოესი მეგობრის, ღვაწლმოსილი ექიმისა და შესანიშნავი ადამიანის

მერაბ კვიტაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

სულთათანა

ვახტანგ ყიფიანი

დავკარგეთ შესანიშნავი მეგობარი, თბილი, ვაჟკაცური ბუნების, სიცოცხლის მოყვარული, კეთილი, საოცრად ერუდირებული, სტუმართმოყვარე, საუკეთესო მეცნიერი და პედაგოგი. ეს დადებითი თვისებები მხოლოდ ნაწილია **ვახტანგ ყიფიანის** ხასიათისა და შინაგანი ბუნებისა.

დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ. ვახტანგ ყიფიანმა თითქმის ნახევარსაუკუნოვანი გზა კეთილსინდისიერად განვლო პათოფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტურაში ჩარიცხვიდან დღემდე. კათედრა მისთვის მეორე ოჯახის ტოლფასი იყო. ვახტანგ ყიფიანი სხვადასხვა დროს იყო პათოფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტი, ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, 1990 წლიდან კი კათედრის გამგე. მას შემდეგ რაც კათედრას დეპარტამენტი ეწოდა, გახლდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და პროფესორი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თერთმეტი წლის განმავლობაში იყო თსსუ-ის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი, სტუდენტებისა და ექიმების არაერთი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი, ღირსების ორდენის კავალერი. ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, ყველა ამ ტიტულზე მეტად ძვირფასი მისი სიკეთე და ერთგულება, იუმორი, სიცოცხლის სიყვარული, გაჭირვებაში მეგობრების გვერდით დგომის და სიხარულში კი მოლხენის უნარი იყო.

ვისაც კი ურთიერთობა ჰქონია ვახტანგ ყიფიანთან, მუდამ ემახსოვრებათ ეს საოცრად კონტაქტური, ნიჭიერი პიროვნება, სახე ჩვენი უნივერსიტეტისა.

ვახტანგმა ღირსეულად გაატარა თავისი ცხოვრება, შემოქმედებითი გეგმებით და შრომისუნარით აღსავსე, პირნათლად წავიდა ჩვენგან, დატოვა არაჩვეულებრივი ოჯახი, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები. ყველას ვინც კი იცნობდა მას, დაგვიტოვა ნათელი მოგონება და მძაფრი გულისტკივილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს, მის აღზრდილებს არასდროს დაავიწყდებათ მის გვერდით გატარებული ცხოვრების წუთები თუ წლები, მისი ნათელი სახე და ბრძნული გონება.

განსაკუთრებული, მწუხარე განცდა კი დაგვიტოვა მეგობრებს, რომლებთანაც, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოღვაწეობის და ძმური ურთიერთობის რამდენიმე ათეული წელი აკავშირებდა.

ალეკო ციბაძე, რომან მახარაძე, რამაზ კუტუბიძე, კოკი კეკელიძე, ნოდარ ემუხვარი, გია ავალიშვილი, რამაზ ხეცურიანი, ზურაბ ვადაჭკორია, ზურაბ ორჯონიკიძე, ბესო კილასონია, ზაურ ფხალაძე, ნოდარ ლომიძე, თემურ ქორიძე, თემურ პეტრიაშვილი, იუსტინე არველაძე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმად განიცდიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორის, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსის

ვახტანგ არჩილის ძე ყიფიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 23 VI, 15 სთ. თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის შენობიდან. ვაჟა-ფშაველას 33.

თეიმურაზ პეტრიაშვილი, მაია კაკაურიძე, ოჯახის წევრებთან ერთად მწუხარებით იუწყებიან

ვახტანგ ყიფიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გახსენება

მოკოდი აბშილავა

ჩვენო ძმაო და მეგობარო მოკოდი!.. ქრისტიანული რწმენით უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც შენმა სულმა სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრა ადგილი. ალბათ რაღაცნაირად გიხაროდა კიდეც სასუფეველში გადასვლა, რადგან დარწმუნებული იყავი, რომ იქ შენი ტრაგიკულად დაღუპული შვილი, გია დაგხვდებოდა, რომელიც უნიჭიერესი და თვითნაბადი ინტელიგენტი იყო...

რამდენიმე წლით წინათ, ერთ მშვენიერ პიროვნებაზე დაიწერა — ქალაქს კაცი დააკლდაო. შენ კი დაკლდი არა მხოლოდ ოჯახს, მეგობრებსა და ქალაქს, არამედ დედაბუნებასაც. შენთან ყოფნა, მეგობრობა, ძმობა ყოველთვის დიდი ადამიანური ფუფუნება იყო. შენ იყავი არამხოლოდ ფიზიკურად ლამაზი ვაჟკაცი, არამედ სულიერად რაინდი, უღალატო, ბოლომდე ერთგული მეგობარი.

მრავალმხრივი მოღვაწეობა გარგუნა განგებამ. ხელმძღვანელობდი სენაკის რაიონს, შრომობდი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში, იყავი გაზეთის რედაქტორი. ასევე მოღვაწეობდი მასწავლებლად აფხაზეთში, სადაც ბევრი მეგობარი გყავდა. მოგენიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, არჩეული იყავი ქალაქ სენაკის საპატიო მოქალაქედ, დამსახურებულად გქონდა სენაკელების დიდი სიყვარული და პატივისცემა, რაც ყველაზე დიდ ჯილდოდ და ღირსებად მიგაჩნდა. მადლობელი ვართ იმ დიდი სიყვარულისა და სითბოსათვის, რაც შენ დაგვიტოვე.

რეზო ფაჩულია, რომანოზ სვანიშვილი, ნოდარ გორდეზიანი.

მეუღლე ლია გოცირიძე, შვილები კახა, კობა, თეა ქუნთელიები, სიძე გურამ სუპატაშვილი, შვილიშვილები საბა, ნინო, ანდრია, ბარბარე, დავითი იუწყებიან

რევაზ შალვას ძე ქუნთელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22 VI, ჭავჭავაძის გამზირი, სამების ეკლესია 18 სთ. გამოსვენება 23 VI, 14 სთ.

თენგიზ კალანდაძე ოჯახით იუწყება

რეზო ქუნთელიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

◎ ჩვენი ფსიქიკა

ფსიქოლოგიური განწყობა და სნეულებები

ჩვენი ჯანმრთელობა არა მარტო მემკვიდრეობაზე, არამედ ეკოლოგიასა და ცხოვრების წესზე, ასევე გუნებ-განწყობაზეა დამოკიდებული. თუკი თქვენ ნაწყენი, გაბრაზებული, დათრგუნვილი ან შეშინებული ხართ, ყოველივე თქვენს ჯანმრთელობაზე აისახება.

ფიზიკურ სნეულებათა სულიერ მდგომარეობასთან კავშირის შესახებ ჯერ კიდევ ძველმა ესკულაპებმა იცოდნენ. მაგალითად, კუჭის ტკივილის დროს ისინი პაციენტს გაღიზიანებისა და სიბრაზისგან, დიარეის დროს — შიშისა და მოუსვენრობისგან, თირკმელებთან პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში — სასოწარკვეთისა და დარდისგან გათავისუფლებას ურჩევდნენ.

მაგრამ, თუკი შორეულ წარსულში ექიმები ინტუიციურად მოქმედებდნენ, ახლა მათი მოსაზრებები ოფიციალურადაა დადასტურებული. არსებობს შესაბამისი მეცნიერებაც — **ფსიქოსომატიკა** (რაც ბერძნულად „სულსა და „სხეულს“ ნიშნავს), რომელიც სომატურ (სხეულის) სნეულებებზე ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებას შეისწავლის.

მედიკოსთა შეფასებით, ყველა ავადმყოფობის 30-50 პროცენტი ფსიქოსომატურია. მათ შორისაა ვეგეტოსისხლძარღვული დისტონია, ბრონქიალური ასთმა, კუჭის წყლული, გაღიზიანებული კუჭ-ნაწლავის სინდრომი და მრავალი სხვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათთან საბრძოლველად მარტო წამლების მიღება არ კმარა, აგრეთვე საჭიროა საკუთარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვა, უარყოფითი ემოციებისგან, მათ შორის, — სიბრაზისგან, შურისგან, გაღიზიანებისგან, წყენისგან, შიშისგან და ა.შ. — გათავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე, შესაძლოა, ავადმყოფობამდეც მივიდეს.

ამ დროს კავშირი სნეულებასა და კაცის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას შორის უშუალოა. მაგალითად, თქვენ გაბრაზებული ან გაღიზიანებული ხართ, ამ დროს თავის ტვინის ქერქში მდგრადი აღგზნების კერა წარმოიშვება. ამის პასუხად იწევს არტერიული წნევა, მატულობს გულისცემა, შინაგანი ორგანოები აშლილად იწყებენ მუშაობას. ეს სიმპტომები, თავდაპირველად, დროებითია, მაგრამ თუკი თქვენ ცხოვრების ნირს არ შეცვლით, მაშინ ისინი მუდმივ ხასიათს მიიღებენ. ამიტომაც, ნერვულ ნიადაგზე, შესაძლოა, ვთქვათ, გულთან ან წნევასთან დაკავშირებით პრობლემები შეგექმნათ, ანდა კუჭის წყლული დაგემართოთ — სტრესის მდგომარეობაში მარილმჟამა ჭარბი ოდენობით გამომუშავდება, რაც ეროზიას ავითარებს.

ეს, ცხადია, იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ სნეულებაში ფსიქოლოგიური მიზეზი უნდა ეძიოთ. მაგალითად, თუკი ცხიმიანი ან მარილიანი საკვები ჭარბად მიიღეთ, კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები, ისევე, როგორც შეშუპება, თითქმის გარდაუვალია. ამ შემთხვევაში საკუთარ ფსიქოლოგიურ მიზეზთა ძიებას აზრი არა აქვს, ყველაფერი ისედაც ცხადია. იგივეს თქმა შეიძლება ჯანმრთელობის მოშლის სხვა შემთხვევებზეც. მაგრამ, თუკი ავადმყოფობები თქვენი მუდმივი თანამდევი გახდა და, გაძლიერებული მკურნალობის მიუხედავად, მათი განკურნვა გიჭირთ, ამის მკვებავი წყარო, შესაძლოა, თქვენი ემოციები იყოს.

ინფორმაცია თემაში

პრობლემები:

ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები

მიზეზი: აგრესიულობა, თავშეუკავებლობა, ზედმეტი კატეგორიულობა, ვითარებასა და გარშემო მყოფებზე მორგების სურვილის უქონლობა.

ცუდი ტანადობა და მხრებში მოხრილობა

მიზეზი: საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, მორიდებულობა, ჭარბი მგრძნობიარობა.

თირკმელების მუშაობის მოშლა

მიზეზი: ჭარბი ემოციურობა, ბუტიობა, იდეალიზაციისადმი მიდრეკილება და ამასთან დაკავშირებული გარდაუვალი გულდაწყვეტა.

ცუდი მხედველობა

მიზეზი: არსებული სინამდვილის მიმართ სიმბოლური პროტესტი.

ფეხების ტკივილი

მიზეზი: დათრგუნვილი შიში და ძველი წყენები.

სმენის დაქვეითება

მიზეზი: არასასურველი ინფორმაციის მოსმენის სურვილის უქონლობა.

შაკიკი, თავის ტკივილი

მიზეზი: დანაშაულის ქვეცნობიერი, მოჭარბებული განგაშის გრძნობები და მოუსვენრობის შეგრძნება.

გასტრიტი და კუჭის წყლული

მიზეზი: მოუსვენრობისა და განგაშის გრძნობები, რის გამო საკუთარ თავს ნებისმიერ წვრილმან შეცდომაზე გადაჭარბებულად უწყრებით.

ზურგში დისკომფორტის შეგრძნება

მიზეზი: თუკი კისერი და ხერხემლის ზედა ნაწილი გტკივათ, შესაძლოა, თქვენ რაღაც ძალიან მძიმე ტვირთი გაქვთ წამოკიდებული, მაგალითად, ძალიან ბევრს მუშაობთ.

რეკომენდაციები:

● მიმართეთ ფსიქოთერაპევტს ან ფსიქოლოგს. არის შემთხვევები, როცა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს მათი მატარებლისთვის გაუცნობიერებელი სიკეთე მოაქვთ. მაგალითად, ეხმარება ქალს „გარეთ გავარდნილი“ ქმრის ოჯახში მობრუნებაში, ანდა მასში მინავლებული სასიყვარულო გრძნობების გაღვივებაში;

● მიჰყევით სპორტს. ფიზიკური აქტივობა (სირბილი, ცურვა, სიარული, ენერგიული ცეკვები) დაგეხმარებათ შებოჭილობისაგან და უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლებაში, მოვლენათა დადებით აღქმაში.

● მიიღეთ გრილი შხაპი (უმჯობესია ტემპერატურის თანდათანობით დაწევის, თან საკუთარ თავს შეუძახოთ: „მე თავიდან ვიშორებ...“ (და შემდეგ სმამაღლა წარმოთქვათ ყველაფერი ის, რაც, თქვენი აზრით, ცხოვრებაში ხელს გიშლით).

ЗДОРОВЬЕ

გაცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

იყიდება

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.
ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მოხუცი ებრაელი ცოლს ეუბნება:
— სარა, თუ ჩვენს შორის ვინმე მოკვდება, მაშინ მე, ალბათ, ისრაელში წავალ...

* * *

— **მიხო, რად ხარ ასე მოწყენილი?**
— ჩემი მურა ტუალეტში ჩავარდა. მისი მოკვლა მომიხდა.
— **და შენ რა, სანეხვეში ესროლე?**
— **არა თავში!**

* * *

— **რატომ** გადაწყვიტეთ კენჭისყრა? — ეკითხებიან დეპუტატობის კანდიდატს.
— ნახეთ, რა ხდება! ხელისუფლება ფუფუნებაში, კორუფციასა და უსაქმურობაშია ჩაფლული!

— **და თქვენ გინდათ, რომ ამას ებრძოლოთ?**
— **რატომ უნდა ვებრძოლო? მეც მივიღებ ამაში მონაწილეობას!**

* * *

მივიდა ტიპი ექიმთან. მკურნალი ახალგაზრდა გოგონაა.
— **თუ შეიძლება, გაიხადეთ,** — ჩურჩულით ეუბნება გოგო პაციენტს.
— **თქვენ?** — ჩურჩულითვე ეკითხება პაციენტი.

* * *

— **საყვარელო, ახლა რა გაცვია?** — ურეკავს ტიპი გოგოს.
— **ვარდისფერი ტრუსები.**
— **უფრო კონკრეტულად?**
— **90 პროცენტი ბამბისაა, 10 პროცენტი** — **სინთეტიკა.**

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24